

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი

საქართველოს რეგიონების  
დემოგრაფიული  
თავისებურებები

---

გიორგი წულაძე  
ავთანდილ სულაბერიძე

თბილისი  
2016

საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი

## საქართველოს რეგიონების დემოგრაფიული თავისებურებები

გიორგი წულაძე  
ავთანდილ სულაბერიძე

ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოში დემოგრაფიული პროცესების მიმდინარეობის თავისებურებები რეგიონების მიხედვით 1970-2014 წლებში. კერძოდ, ძირითადად ყურადღება ეთმობა მოსახლეობის რაოდენობასა და შემადგენლობას, შობადობას, მოკვდაობას, ქორწინებასა და განქორწინებას, მიგრაციას. აღნიშნული პერიოდის განხილვისას მოცემულია მოსახლეობის საყოველთაო აღწერების წლების მონაცემები.

რედაქტორი:

ვლადიმერ სულაბერიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა:

მარინა ხაჩატუროვა

დაბეჭდილია „ვესტა“-ში

ISBN

## შინაარსი

წინასიტყვაობა.....	4
1. დემოგრაფიულ შემთხვევათა სტატისტიკური აღრიცხვის პრობლემები საქართველოში .....	7
2. საქართველოს დემოგრაფიული განვითარების ზოგადი ტენდენციები.....	21
3. მოსახლეობის რაოდენობა, ასაკობრივ-სქესობრივი და ეროვნული შემადგენლობა .....	31
4. შობადობა .....	38
5. მოკვდაობა და სიცოცხლის ხანგრძლივობა.....	45
6. ბუნებრივი მატება .....	48
7. ქორწინება .....	50
8. განქორწინება.....	52
9. მიგრაცია.....	55
ბოლოსიტყვაობა .....	60
დანართი.....	64



## წინასიტყვაობა

საქართველოს დემოგრაფიული განვითარება და მიმდინარე დემოგრაფიულ პროცესთა ტენდენციები ქართველ დემოგრაფთა მიერ ძირითადად განხილულია ზოგადად, მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამ ფონზე, შედარებით ნაკლებადაა წარმოჩენილი რეგიონული დემოგრაფიის მიმართულებით შესრულებული გამოკვლევები. მიუხედავად ამისა მაინც გამოიყოფა რეგიონული დემოგრაფიის პრობლემების შესწავლის ორი მიმართულება. პირველი-შეისწავლის უშუალოდ ცალკეულ დემოგრაფიულ პროცესთა (შობადობის, მოკვდაობის, ქორწინება-განქორწინების და მიგრაციის) განვითარების განსხვავებებს და თავისებურებებს რეგიონულ ჭრილში და მეორე – უშუალოდ ცალკეულ რეგიონში არსებულ დემოგრაფიულ ვითარებას.

ორივე მიმართულება მნიშვნელოვანია. პირველი მიმართულებით შესრულებულია მხოლოდ ერთი გამოკვლევა ა. სულაბერიძის მიერ 1979-1982 წლებში, რომელშიც ცალკეულ დემოგრაფიულ პროცესთა განვითარების განსხვავებული თავისებურებები შესწავლილია საქართველოს მთიანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული რეგიონთაშორის შედარების ფონზე<sup>1</sup>.

პირველისგან განსხვავებით, რეგიონული დემოგრაფიის მეორე მიმართულებით უფრო მეტი შრომაა შესრულებული. კერძოდ, მ. გეჯუამ შეისწავლა აფხაზეთის დემოგრაფიული განვითარება 1959-1989 წწ. და ამ რეგიონიდან 1993 წლიდან დევნილი მოსახლეობის სოციალურ-დემოგრაფიული პრობლემები<sup>2</sup>; მ. ტუხაშვილმა საქართველოს დემოგრაფიული პროცესების რეგიონული თავისებურებების გათვალისწინებით შეისწავლა ქვეყნის შრომითი პოტენციალი<sup>3</sup>. ვ. ლორთქიფანიძემ სამცხე-ჯავახეთის და ისტორიული მესხეთის, სადაც აჭარის

---

<sup>1</sup> ა. სულაბერიძე. საქართველოს სსრ მთიანეთის დემოგრაფიული განვითარების პრობლემები. თბილისი, 1986.

<sup>2</sup> მ. გეჯუა. აფხაზეთის დემოგრაფიული განვითარების კანონზომიერებანი 1959-1989 წწ. თბილისი, 2004.

<sup>3</sup> მ. ტუხაშვილი. საქართველოს შრომითი პოტენციალი. თბილისი, 1998.

დემოგრაფიულ განვითარებასთან ერთად წარმოჩენილია თურქეთში მცხოვრებ ქათველთა (მესხების, და ლაზების) სოციალურ-დემოგრაფიული ქცევა 1990-იანი წლების შუა პერიოდში<sup>4</sup>. ბოლო დროს, ა. თოთაძის მიერ 2012-2014 წლების შრომებში გაანალიზებულია აჭარის, რაჭა-ლეჩხუმის, თბილისის, კახეთის და გურიის რეგიონის დემოგრაფიული საკითხები<sup>5</sup>.

ჩვენი შრომა რეგიონული დემოგრაფიის პირველ მიმართულებას მიეკუთვნება და მიზნად ისახავს ხუთ აღწერათაშორის პერიოდში ცალკეული დემოგრაფიული პროცესის საქართველოს რეგიონთაშორის განსხვავებული განვითარების ტენდენციების წარმოჩენას. წარმოდგენილი ინფორმაცია და მოკლე კომენტარი ძირითადად ეფუძნება საქართველოში ჩატარებული მოსახლეობის აღწერების შედეგებს და შესაბამისად მოკლედ აღწერს როგორც ზოგადად საქართველოს დემოგრაფიულ ვითარებას, ისე ცალკეულ დემოგრაფიულ პროცესთა განვითარების რეგიონთაშორის განსხვავებებს.

ჩვენ თავი შევიკავებთ ვრცელი ანალიზისგან და შემოვფარგლეთ მოკლე კომენტარებით. საქმე ისაა, რომ რეგიონების შესახებ მოტანილი დემო-სტატისტიკური ინფორმაცია ძირითადად წარმოადგენს საქსტატის ოფიციალურ მონაცემებს და არასაკმარისია ექსპერტული შეფასებითი გაანგარიშებებისთვის, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი. ამიტომ, 1997 წლიდან დღემდე<sup>6</sup> გ. წულაძის მიერ (ი. ბადურაშვილთან 1997 წ., ხოლო ა. ვადაჭკორიასთან და ნ. მაღლაფერიძესთან 1998-2012 წწ.), მთელი საქართველოს მასშტაბით შესრულებული ექსპერტული შეფასების მსგავსი გაანგარიშებები ამჯერად ვერ გავაკეთეთ. მიუხედავად

---

<sup>4</sup> ვ. ლორთქიფანიძე. სამცხე-ჯავახეთის დემოგრაფიული განვითარების პრობლემები. თბ; 1994 წ. ისტორიული მესხეთი. დემოგრაფიული განვითარების პრობლემები. თბილისი, 1998.

<sup>5</sup> ა. თოთაძე აჭარის მოსახლეობა. თბილისი, 2012; რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობა. თბილისი, 2013; თბილისის მოსახლეობა. თბილისი, 2014; კახეთის მოსახლეობა. თბილისი, 2014; გურიის მოსახლეობა. თბილისი, 2014.

<sup>6</sup> G. Tsuladze. Demographic Yearbook of Georgia 2014. UNFPA. Tbilisi, 2015.

ამისა, მოტანილი ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაცია, მეტ-ნაკლები სიზუსტით მაინც ასახავს დემოგრაფიულ პროცესთა განვითარების ტრენდს საქართველოს რეგიონებში.

ვფიქრობთ, ნაშრომის ასეთი ფორმით წარმოდგენა მკითხველს, თუ საკითხით დაინტერესებულ სპეციალისტებს საშუალებას მისცემს წარმოდგენა შეექმნათ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში პირადად გაანალიზონ და გაიაზრონ საქართველოში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესების რეგიონული თავისებურებები.

## 1. დემოგრაფიულ შემთხვევათა სტატისტიკური აღრიცხვის პრობლემები საქართველოში<sup>7</sup>

მიმდინარე დემოგრაფიული პროცესების განხილვისას, არსებული ოფიციალური სტატისტიკური ინფორმაციის გარდა, დემოგრაფიულ პროცესთა ანალიზისას ვიყენებთ, ექსპერტული შეფასების მეთოდით გაანგარიშებულ დემოგრაფიულ მაჩვენებლებს, რომელიც ხშირ შემთხვევაში განსხვავდება საქსტატის ოფიციალური მონაცემებისაგან. სწორედ ოფიციალური სტატისტიკური მაჩვენებლების ექსპერტული გაანგარიშების და ანალიზის საფუძველზე შეიძლება აღმოვაჩინოთ, რომ არსებული დემო-სტატისტიკური მაჩვენებლები ყოველთვის არ გამოხატავენ რეალურ დემოგრაფიულ ვითარებას, ვინაიდან სრულად ვერ წარმოებდა და წარმოებს დემოგრაფიულ შემთხვევათა აღრიცხვა.

დემოგრაფიულ შემთხვევათა არასრული აღრიცხვა არ წარმოადგენს შედარებით ახალ, პოსტსაბჭოთა პერიოდისათვის დამახასიათებელ მოვლენას. იგი არსებობდა საბჭოთა პერიოდში და შესაძლებლობის ფარგლებში არასრული აღრიცხვა გამოვლენილ იქნა 1960 წლიდან<sup>8</sup>. დემოგრაფიულ შემთხვევათა არასრული აღრიცხვა წინა პერიოდისათვისაც იყო დამახასიათებელი, ამდენად, არასრული დემო-სტატისტიკური აღრიცხვის პრობლემა ნაშრომში განიხილება 1960 წლიდან დღემდე და წარმოდგენილია 1960

---

<sup>7</sup> ნაშრომის ეს ნაწილი მოხსენებების სახით წაკითხულია ევროსტატისა და გაეროს ევროსაბჭოს ეკონომიკური კომისიის კონფერენციაზე „დემოგრაფიული პროგნოზები“. შვეიცარია. ჟენევა, 2016. 18-20 აპრილი. [www.unece.org/index.php?id=41283#/](http://www.unece.org/index.php?id=41283#/)

<sup>8</sup> Anderson B.A., Katus, K., and Silver, B.D. (1994). Developments and Prospects for Population Statistics in Countries of the Former Soviet Union. *Population Index* 60(1): 4-20. Doi: 10.2307/3645322; Anderson B.A. and Silver B.D. (1986). Infant mortality in the Soviet Union: Regional differences and measurement issues. *Population and Developments Review* 12(4): 705-738. Doi: 10.2307/19734332; Anderson B.A. and Silver, B.D. (1989). The Changing Shape of Soviet Mortality, 1958-1985: An Evaluation of Old and New Evidence. *Population Studies* 43(2): 243-265. Doi: 10.1080/0032472031000144106.

წლიდან დემოგრაფიული პროცესების ოფიციალური და შეფასებითი მაჩვენებლების შედარებითი ანალიზით მიღებული განსხვავებები.

მოსახლეობის რაოდენობისა და ასაკობრივ-სქესობრივი შემადგენლობის განსაზღვრის სიზუსტე ბევრად არის დამოკიდებული დაბადებათა, გარდაცვალებათა და გარე მიგრაციის მიმდინარე აღრიცხვის სრულფასოვნებაზე.

1990-იან წლებში საქართველოში მომხდარ ცნობილ პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და საზოგადოებრივ მოვლენებს მოჰყვა დემოგრაფიული შემთხვევებისა და მიგრაციის რეგისტრაციის გაუარესება, რის შედეგადაც გართულდა მოსახლეობის რაოდენობისა და ასაკობრივ-სქესობრივი შემადგენლობის განსაზღვრა. აღნიშნულიდან გამომდინარე ოფიციალური სტატისტიკის პარალელურად გაჩნდა არაოფიციალური სტატისტიკა, მეცნიერულ შეფასება-გაანგარიშებების სახით (შემდგომში შეფასება), რომლის მონაცემები მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა და განსხვავდება საქსტატის შესაბამისი მონაცემებისა და მაჩვენებლებისაგან.

დემო-სტატისტიკურ მონაცემთა შეფასებისას გამოყენებულ იქნა დემოგრაფიული, ეპიდემიოლოგიური და მიგრაციული გადასვლის თეორიები, მოცემული მომენტისთვის მისადაგებული მოდელები, გაეროს, კოულ-დემენის მოკვდაობის მოდელური (ტიპური) და სხვა ცხრილები და ინდექსები, დემოგრაფიულ პროცესებზე მოქმედ ფაქტორთა დეტერმინაციული ანალიზი, აგრეთვე ცალკეულ წლებში დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დემო-სოციოლოგიური გამოკვლევები და სხვა.

ჩვენგან (მეცნიერ-ექსპერტთაგან) განსხვავებით, საქსტატს კანონმდებლობით არა აქვს სახელმწიფო სამსახურებიდან ოფიციალურად მიღებული მიმდინარე სტატისტიკური ინფორმაციის გადაანგარიშების და შეფასების უფლება. ამიტომ, ის ოფიციალურად იძლევა მხოლოდ სახელმწიფო სამსახურების მიერ



ოფიციალურად მიწოდებული ინფორმაციის კრებსით მონაცემებს, რაც დემოგრაფიულ ვითარებას ზოგჯერ არაზუსტად წარმოაჩენს.

ამდენად, ოფიციალურ და ექსპერტული გაანგარიშებების შეფასებით დემოსტატიტიკურ მაჩვენებელთა სათანადო ანალიზის საფუძველზე დავადგინეთ, რომ როგორც 1970, ისე 1979, 1989, 2002 და 2014 წლების მოსახლეობის აღწერების დროს აღრიცხული მოსახლეობის რაოდენობა არ შეესაბამება აღწერათაშორის პერიოდებში ბუნებრივი მატებისა და გარე მიგრაციის არსებული მონაცემების ჯამიდან გამომდინარე მოსახლეობის რაოდენობას საკვლევი პერიოდის მასშტაბიდან გამომდინარე, საკითხის უკეთ წარმოჩენის მიზნით, მას განვიხილავთ ორ პერიოდად 1960-2000 წწ. და 2000 წლიდან დღემდე.

#### ა) 1960-2000 წლები

საქსტატისა და ჩვენს მიერ გაანგარიშებული მოსახლეობის რაოდენობას შორის არსებული სხვაობა ძირითადად გამოწვეულია ბუნებრივი მოძრაობის და მიგრაციის არაზუსტი აღრიცვის შედეგად. გაეროს ექსპერტების შეფასებით, 1960-1965 წლებში საქართველოში საშუალოდ წელიწადში აღურიცხავი რჩებოდა 20 ათასამდე გარდაცვლილი, ხოლო არასრული აღრიცხვის წილი 40%-ს შეადგენდა. ეს უკანასკნელი საკმაოდ მაღალი იყო, თუმცა ჩამორჩებოდა მხოლოდ შუა აზიის ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკების შესაბამის მაჩვენებლებს<sup>9</sup>.

გაეროს ექსპერტთა შეფასებით<sup>10</sup>, გარდაცვლილთა არასრული აღრიცხვა საქართველოში უფრო მეტი იყო, ვიდრე

---

<sup>9</sup> Anderson B.A., Katus, K., and Silver, B.D. (1994). Developments and Prospects for Population Statistics in Countries of the Former Soviet Union. *Population Index* 60(1): 4-20. Doi: 10.2307/3645322; Anderson B.A. and Silver B.D. (1986). Infant mortality in the Soviet Union: Regional differences and measurement issues. *Population and Developments Review* 12(4): 705-738. Doi: 10.2307/19734332; Anderson B.A. and Silver, B.D. (1989). The Changing Shape of Soviet Mortality, 1958-1985: An Evaluation of Old and New Evidence. *Population Studies* 43(2): 243-265. Doi: 10.1080/0032472031000144106

<sup>10</sup> იქვე.

ჩვენი შეფასებით. 1960-1990-იან წლებში საქართველოში გარდაცვლილთა არასრულმა რეგისტრაციამ საერთო ჯამში შეადგინა: გაეროს ექსპერტთა შეფასებით – 215 ათასი (15,4%), ხოლო ჩვენი შეფასებით – 165 ათასი (12,2%).

1990-იან წლებში საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცვლილებებს სტატისტიკის ორგანოები (ისევე როგორც ბევრი სხვა უწყება) მოუმზადებელი შეხვდა, რასაც მოჰყვა როგორც გარდაცვლილთა, ისე სხვა დემოგრაფიული შემთხვევების სტატისტიკური აღრიცხვის გაუარესება. 1990-იან წლებში, 1970-იან და 1980-იან წლებთან შედარებით კიდევ უფრო გაიზარდა გარდაცვლილთა არასრული აღრიცხვის დონე.

უნდა აღინიშნოს, რომ 2002 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგების საფუძველზე მოხდა აღწერათაშორისი (1989 და 2002 წწ.) პერიოდის დემოგრაფიული მაჩვენებლების, მათ შორის გარდაცვლილთა რაოდენობის, გადაანგარიშება. საქსტატის მონაცემები გარდაცვლილთა რაოდენობის შესახებ გადაანგარიშებამდე (ანუ რეგისტრირებული) და გადაანგარიშების შემდგომი, მნიშვნელოვნად განსხვავებოდა ერთმანეთისაგან. კერძოდ, გადაანგარიშებამდელი მონაცემებით საქართველოში, 1990-2000 წლებში, გარდაიცვლილთა რაოდენობა 460,9 ათას კაცს შეადგენდა, ხოლო გადაანგარიშების შემდეგ – 552,6 ათას კაცამდე გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ საქსტატის გადაანგარიშებული მონაცემები გარდაცვლილთა რაოდენობის შესახებ, გარკვეული განსხვავების მიუხედავად, ჩვენი შეფასებითი მონაცემების მსგავსია (560,2 ათასი გარდაცვლილი).

1960-2000 წწ. მოკვდაობის შეფასებითი მონაცემების ანალიზი, განსხვავებით საქსტატის ამავე პერიოდის მოკვდაობის ოფიციალური მონაცემებისგან საფუძველს იძლევა, ახლებურად გავიზაროთ როგორც სიცოცხლის ხანგრძლივობის ევოლუცია, ისე ზოგადად დემოგრაფიული გადასვლა საქართველოში<sup>11</sup>.

---

<sup>11</sup> Anderson B.A., Katus, K., and Silver, B.D. (1994). Developments and Prospects for Population Statistics in Countries of the Former Soviet Union. *Population Index* 60 (1): 4-20. Doi: 10.2307/3645322; Anderson B.A. and Silver, B.D. (1989). The

საქართველო იმ ქვეყნებს მიეკუთვნება, რომლებსთვისაც გარე მიგრაცია მოსახლეობის ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. საქმე ის არის, რომ საქართველოს 1960 წლიდან გარე მიგრაციის უარყოფითი სალდო ახასიათებს.

განსხვავებით, საქსტატის ოფიციალური მონაცემისგან, შეფასებითი მონაცემებით 1960-2000 წლების პერიოდში, გარე მიგრაციის შედეგად, საქართველოს მოსახლეობას დააკლდა 1404 ათასზე მეტი ადამიანი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საქართველოსათვის 1990-იანი წლები, როდესაც სხვადასხვა შეფასებითი მონაცემით, საქართველოს მოსახლეობამ გარე მიგრაციის შედეგად გაცილებით მეტი დანაკლისი განიცადა, ვიდრე წინა 30-წლიანი პერიოდის განმავლობაში. შეფასებითი მონაცემებით, 1990-2000 წლების პერიოდში, საქართველომ გარე მიგრაციის უარყოფითი სალდოს შედეგად, 1989 წლის მოსახლეობის რაოდენობის 19%-მდე დანაკლისი განიცადა, ანუ თითქმის ყოველი მეხუთე ადამიანი წავიდა ქვეყნიდან.


ამდენად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ 1960-2000 წლების პერიოდში, ოფიციალური მონაცემები საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის შესახებ, მათ შორის აღწერებისას, არაზუსტი და ნაკლებად სანდო იყო. მოსახლეობის აღწერებისას, მოსახლეობის საერთო რაოდენობა გადამეტებით იყო წარმოდგენილი (1979 წლის გარდა).

გარდაცვლილთა და გარე მიგრაციის არასრული აღრიცხვის გათვალისწინებით, საქართველოს მოსახლეობის საერთო რაოდენობა, 1960-2000 წლებში, ჩვენი შეფასებით, განსხვავებულია საქართველოს მოსახლეობის იმ რაოდენობისაგან, რომელიც სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ არის წარმოდგენილი (გადაანგარიშებამდე). ამაზე ნათელ წარმოდგენას იძლევა ქვემოთ მოტანილი დიაგრამა 1.

---

Changing Shape of Soviet Mortality, 1958-1985: An Evaluation of Old and New Evidence. *Population Studies* 43(2): 243-265. Doi: 10.1080/0032472031000144106.

დიაგრამა 1. საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა (ათასი) 1960-2000 წლებში საქსტატის (გადაანგარიშებამდე) და შეფასებითი მონაცემების მიხედვით




როგორც ვხედავთ, საქსტატისა და ჩვენს (გ. წულაძე) მიერ გაანგარიშებული მოსახლეობის რაოდენობას შორის არსებული სხვაობა 1960 წლიდან სულ იზრდება. 1970 წელს ეს სხვაობა 107 ათასი იყო, 1980 წელს – 157 ათასი, 1990 წელს – 236 ათასი, ხოლო 2000 წელს სხვაობამ 1028 ათასი შეადგინა. ამრიგად, ჩვენი შეფასებით საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 1960-2000 წლებში ყოველთვის ნაკლები იყო საქსტატის შესაბამის მონაცემებთან შედარებით. ამასთან, ჩვენი შეფასებით, 1992 წლიდან საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა განუხრელად მცირდება, მაშინ, როდესაც საქსტატის გაანგარიშებები მოსახლეობის რაოდენობის ზრდას ასახავენ.

მოტანილი დიაგრამა 1 აშკარად გვიჩვენებს, რომ საქართველოში 1960-1991 წლებში, მართალია სხვადასხვა სიდიდით, მაგრამ მოსახლეობის მატებას ჰქონდა ადგილი, რომელიც 1992 წლიდან კლებით შეიცვალა. საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა 1960-1991 წლებში გაიზარდა 1099 ათასით, ხოლო 1992-2000 წლებში შემცირდა 882 ათასით.

მოსახლეობის საერთო მატებაში ბუნებრივ და მექანიკურ მოძრაობას (მიგრაციას) განსხვავებული წილი ჰქონდა (იხ. დიაგრამა 2).

დიაგრამა 2. მოსახლეობის საერთო მატების (კლების) კომპონენტები საქართველოში 1960-2000 წლებში, ათასობით



გარე მიგრაცია: 1960-1989 წწ. – საქსტატი, 1990-2000 – შეფასებითი მონაცემებით; ბუნებრივი მატება – შეფასებითი მონაცემებით.

მთელი განსახილველი პერიოდის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ ბუნებრივი მატება მცირდებოდა და პერიოდის ბოლოსათვის ნულოვან სიდიდემდე დავიდა, მისი მნიშვნელობა მაინც დადებითი იყო, მაშინ, როდესაც გარე მიგრაციის საღლო უარყოფითი იყო.

1992 წლამდე მოსახლეობის ბუნებრივი მატების სიდიდის მეტობა გარე მიგრაციის უარყოფით საღლოზე ძირითადად განსაზღვრავდა საქართველოს მოსახლეობის საერთო მატებას. 1992 წლიდან კი, ერთი მხრივ, ბუნებრივი მატების მკვეთრმა შემცირებამ და მეორე მხრივ, ემიგრაციის ინტენსივობის მნიშვნელოვანმა

ზრდამ, მომდევნო წლებში განაპირობა საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის მნიშვნელოვანი კლება.

ამდენად, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობრივი ფორმირების ძირითად კომპონენტს 1960-1991 წლებში ბუნებრივი მატება, ხოლო 1992-2000 წლებში გარე მიგრაცია წარმოადგენდა.

ბ) 2000-2015 წწ.

როდესაც 2000-იან წლებზე ვლასპარაკობთ, პირველ რიგში აღსანიშნავია 2002 წელს (17 იანვრის მდგომარეობით) ჩატარებული საქართველოს მოსახლეობის პირველი საყოველთაო ეროვნული აღწერა. მისი შედეგები სპეციალისტების მიერ არაერთგვაროვნად არის შეფასებული.


უპირველეს ყოვლისა აღნიშნული კრიტიკული დამოკიდებულება ეფუძნება ემიგრანტთა სააღწერო ფურცელს<sup>12</sup>, რომელმაც პრაქტიკულად ვერ, ან ცუდად "იმუშავა". მაგალითად, 2002 წლის აღწერის შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ ემიგრანტების რაოდენობა საქართველოდან შეადგენს 113,7 ათასს (საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული აღწერის შედეგები, 2003). იმავე დროს სტატისტიკის დეპარტამენტის გაანგარიშებით გარე მიგრაციის უარყოფითმა სალდომ საქართველოსათვის აღწერათაშორის პერიოდში (1989-2001 წწ.) დაახლოებით 930 ათასი შეადგინა<sup>12</sup>.

2002 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგებიდან გამომდინარეობს, რომ მუდმივი მოსახლეობის რაოდენობა 4371,5 ათასის, ხოლო ფაქტობრივი მოსახლეობის რაოდენობა – 4355,7 ათასის ტოლი იყო, ანუ სხვაობა მათ შორის შეადგენდა 15,8 ათასს.

---


<sup>12</sup> G. Tsuladze. Demographic Yearbook of Georgia 2014. UNFPA. Tbilisi, 2015.

დიაგრამა 3. საქართველოს მოსახლეობის ცვლილება 2001-2014 წწ. (1 იანვრის მდგომარეობით)



მოტანილი დიაგრამიდან ჩანს, რომ 2002 წელს, მოსახლეობის შეფასებითი რაოდენობა ნაკლები იყო მუდმივზე 370,5 ათასით. 2003-2014 წლებში აღნიშნული სხვაობა იზრდებოდა და 2014 წლის 1 იანვრისთვის მიაღწია 729,8 ათასს, ანუ 16,3%-ს. ამასთან, მოცემულ წლებში საქსტატის მონაცემებით მოსახლეობის რაოდენობა 4 მილიონის ფარგლებშია და 2008 წლიდან ზრდის ტენდენციით ხასიათდება. მისგან განსხვავებით, შეფასებითი მონაცემებით 2002 წლიდან იგი 4 მილიონს ქვემოთაა და კლების ტენდენცია გააჩნია. მოსახლეობის ფორმირების ორი კომპონენტიდან, საქსტატის შემთხვევაში მიგრაციული სალდო უარყოფით როლს არ თამაშობს, მისგან განსხვავებით, შეფასებითი მაჩვენებლებით, მოსახლეობის რაოდენობის ცვლილების გადამწყვეტ ფაქტორად ისევ გარე მიგრაცია გვევლინება, რაც ნათლად ჩანს ქვემოთ მოტანილი დიაგრამა 4-დან.


დიაგრამა 4. მოსახლეობის საერთო მატების (კლების) კომპონენტები საქართველოში 2001-2014 წწ.



საქსტატის და შეფასებითი მაჩვენებლების ასეთი კონტრასტული განსხვავება, ისევე და ისევე მოსახლეობის დემოსტატისტიკური აღრიცხვის პრობლემებიდან გამომდინარეობს. აღნიშნულთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ცალ-ცალკე გავაანალიზოთ და შევადაროთ, როგორც მოსახლეობის ბუნებრივი მატების კომპონენტების დაბადებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობის, ასევე მიგრაციული სალდოს საქსტატის და ჩვენი შეფასებითი მაჩვენებლები.




დიაგრამა 5. ცოცხლად დაბადებულთა დინამიკა 2000-2014 წწ.



მოტანილი დიაგრამა 5-დან ჩანს, რომ 2007-2009 წლებში, საქსტატის ოფიციალურ და ჩვენს შეფასებით დაბადებულთა რაოდენობა ერთმანეთის მსგავსია, რაც მეტყველებს ამ წლებში გამოსწორებულ აღრიცხვაზე. ამ წლებისგან განსხვავებით წინა და მომდევნო წლების სხვაობა კი მიაჩნება დაბადებულთა არასრულ აღრიცხვაზე.

დიაგრამა 6. გარდაცვლილთა რაოდენობის დინამიკა 2000-2014 წწ.




ცოცხლად დაბადებულთა აღრიცხვისგან განსხვავებით 2000-2014 წლებში უფრო მეტად დარღვეულია გარდაცვლილთა აღრიცხვა, განსაკუთრებით 2004-2010 წლებში, რასაც ნათლად გვიჩვენებს დიაგრამა 6.

დაბადებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობის

დინამიკიდან გამომდინარე, 2002-2014 წლებში მოსახლეობის ბუნებრივმა მატებამ საქსტატის მონაცემებით 100,0 ათასი კაცი, ხოლო შეფასებით 71,4 ათასი კაცი შეადგინა.

როგორც დიაგრამა 7-დან ჩანს, მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის კომპონენტთა აღრიცხვასთან შედარებით უფრო ცუდადაა საქმე გარე მიგრაციის აღრიცხვაში. 2002-2014 წლებში, გარე მიგრაციული სალდო, არასწორი აღრიცხვის გამო, საქსტატის მონაცემებით დადებითი იყო და 24 ათასი, ხოლო შეფასებით უარყოფითი იყო და – 314 ათასი შეადგინა.

დიაგრამა 7. საქართველოს მოსახლეობის გარე მიგრაციის სალდო 2002-2014 წწ.



როგორც, კვლევის მეთოდოლოგიაში აღვნიშნეთ. ჩვენგან (მეცნიერ-ექსპერტთაგან) განსხვავებით, საქსტატს კანონმდებლობით არა აქვს სახელმწიფო სამსახურებიდან ოფიციალურად მიღებული მიდინარე სტატისტიკური ინფორმაციის გადამოწმების, გადაანგარიშების და შეფასების უფლება. სწორედ ამის შედეგია, რომ ოფიციალურ სტატისტიკაში ზოგჯერ არ აღირიცხება სამშობიაროს გარეთ, ბინაში დაბადებულები, ხოლო გარდაცვლითა (განსაკუთრებით ჩვილთა) შემთხვევაში რეგისტრაციის გვერდის ავლით დაკრძალულები.

საქმე ისაა, რომ, როგორც სხვადასხვა წლების ჩვენი და გაეროს ექსპერტების გამოკვლევები გვიჩვენებენ საქართველოს მთიანეთის და ქვემო ქართლის სოფლებში ჯერ კიდევ აღინიშნება

ბინაზე მშობიარობა. გარდა ამისა საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა ნაწილი მშობიარობდა და მშობიარობს უცხოეთში (ძირითადად აზერბაიჯანში); 2008 წლის საქართველო-რუსეთის ომამდე, ოსთა და ქართველთა შორის არსებული მშვიდობიანი ურთიერთობის დროს, ცხინვალის რეგიონთან მცხოვრები მოსახლეობა სამშობიაროდ გადადიოდა ცხინვალში. აღნიშნული ძირითადად გამოწვეული იყო მოსახლეობის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით და საქართველში მშობიარობის სიძვირით. შესაბამისად დაბადებულთა ეს ნაწილი არ რეგისტრირდებოდა და არ აღირიცხებოდა საქსტატის დაბადებულთა კრებსით მაჩვენებელში.

გარდაცვლილთა აღრიცხვის პრობლემას ძირითადად ართულებდა და ართულებს, ის, რომ საქართველოს ზოგიერთ რაიონში და სოფელში, მიუხედავად ადგილობრივ ხელისუფალთა ადმინისტრაციული ჯარიმისა, გარდაცვლილის დაკრძალვისთვის მიწის გამოსაყოფად, ხშირად არ ითხოვდენ გარდაცვლილის რეგისტრაციის მოწმობას. გარდა ამისა თვით ოჯახი გარდაცვლილს რეგისტრაციის გარეშე დასაფლავებისთვის, სასაფლაოზე მიწის გამოყოფის ყოველგვარი ნებართვის გარეშე, ასაფლავებდა და ასაფლავებს. გარდა ამისა, ოჯახი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე, გარდაცვლილის პენსიის შენარჩუნების მოზნით, გარდაცვლილ პენსიონერს გვიან, ან საერთოდ არ ატარებს რეგისტრაციაში და სხვა.

ზემოთ მოტანილი მიზეზები და ბუნებრივი მოძრაობის აღრიცხვის ადმინისტრირების დაბალი დონე და კულტურა შესაბამისად ართულებს ზუსტ აღრიცხვას, რაშიც საქსტატს ვერ დავადანაშაულებთ.

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობისგან განსხვავებით, მიგრაციის არაზუსტი აღრიცხვა ძირითადად არასწორი მეთოდოლოგიის შედეგია. კერძოდ, საზღვრის დაცვის დეპარტამენტი 2012 წლამდე აღრიცხავდა მხოლოდ ვიზიტორებს და შესაბამის სტატისტიკური ბაზების არარსებობის გამო არ ხერხდებოდა ვიზიტორთა ხანგრძლივობის და სხვა პარამეტრების გამოყოფა, რაც შესაძლებლობას მისცემდა საქსტატს სწორედ აღრიცხვა საერთაშორისო მიგრაცია. 2012 წლიდან გარე მიგრაციის

აღრიცხვის საქსტატის შემუშავებულმა ახლმა მეთოდიკამ მნიშვნელოვნად შეამცირა გარე მიგრაციის არაზუსტი აღრიცხვა და იმედია კიდევ უფრო გაუმჯობესდება. რაც შეეხება ქვეყნის შიგა მიგრაციას, საბჭოთა პერიოდის (თუმცა არც მაშინ იყო ზუსტი აღრიცხვა) შემდეგ საერთოდ მოიშალა, რამდენადაც მოსახლეობის ქვეყნის შიგნით გადაადგილება საერთოდ აღარ კონტროლდება და შესაბამისად არ აღირიცხება.

გასაკვირი აღარ უნდა იყოს საქსტატის და ჩვენი შეფასებით, მოსახლეობის ორ აღწერათაშორის პერიოდში 2002-2014 წწ. მოსახლეობის ყოველწლიურ რაოდენობას შორის სხვაობა. დიაგრამა 4-ის შესაბამისად, 2015 წლის 1 იანვრისთვის საქართველოს მოსახლეობა უნდა ყოფილიყო 4496 ათასი კაცი (გაეროს მონაცემით 4 მილიონი კაცი). 2014 წლის 5 ნოემბრის მოსახლეობის აღწერის შედეგად კი დაფიქსირდა 3714 ათასი კაცი (ბოლო ოფიციალური მონაცემით 3713808 კაცი), ანუ 782 ათასი კაცით (17%-ით) ნაკლები. ამ თვალსაზრისით ბევრად უფრო ზუსტი აღმოჩნდა ექსპერტული შეფასებით გაანგარიშებული მაჩვენებლები, რომლის თანახმადაც 2015 წლის 1 იანვრისთვის, მოსახლეობის რაოდენობა შეფასებით უნდა ყოფილიყო 3756,1 ათასი, ხოლო საქსტატის მონაცემებით – 3729,5 ათასი შეადგინა. განსხვავება მხოლოდ 26,6 ათასია (0,7%).

საქსტატის 2002-2014 წლების მოსახლეობის აღწერათაშორის პერიოდის თუნდაც ერთი, 2014 წლის დემოგრაფიულ მონაცემთა გადაანგარიშება იძლევა მნიშვნელოვან ცვლილებებს.

ამ ასპექტით, მაგალითად მოვიტანთ დაბადებისას მოსახლეობის სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის მაჩვენებლებს. თუ ეს მაჩვენებელი საქსტატის მონაცემით ორივე სქესისთვის 2013 წელს შეადგენდა 75,2 წელს, 2014 წლის გადაანგარიშებით იგი შეადგენს 72,9 წელს, ანუ 2,3 წლით ნაკლებს. ამასთან, ერთ წელიწადში, მამაკაცებისთვის იგი შემცირდა 2,1 წლით და შეადგინა 68,7 წელი, ხოლო ქალებისთვის 2,2 წლით და შეადგენს 77,2 წელს.

ამდენად, მოსახლეობის 2014 წლის აღწერამ დაადასტურა არაზუსტი აღრიცხვის პირობებში მიმდინარე სტატისტიკური აღრიცხვის არასაიმედოება.

## 2. საქართველოს დემოგრაფიული განვითარების ზოგადი ტენდენციები

მსოფლიოს ზოგად დემოგრაფიულ ვითარებასთან შედარებით, საქართველოში განსხვავებული მდგომარეობა ჩამოყალიბდა. დღეისათვის მოსახლეობის აღწარმოების თვალსაზრისით, საქართველო განვითარებული ქვეყნების, ხოლო გარე მიგრაციის თვალსაზრისით – ნაკლებად განვითარებული ქვეყნების მსგავსია.

ერთი შეხედვით, საქართველოს დემოგრაფიული ვითარების გაუარესება 1990-იან წლებიდან იწყება, მაგრამ თუ დემოგრაფიული მოვლენების განვითარების ანალიზს ბოლო ოთხი ათეული წლის მანძილზე განვიხილავთ, საკითხი სხვაგვარად წარმოგვიდგება. დემოგრაფიული განვითარების არასასურველი ტენდენციები საქართველოში ჯერ კიდევ 1970-იანი წლების შუა პერიოდში, ზოგიერთი მთიანი რაიონის (ონი, ამბროლაური) დეპოპულაციაში გამოიხატა. საქართველოს ცალკეული რეგიონები, მოსახლეობის ბუნებრივი მატების არსებული დონის მიხედვით 1990 წლისთვის შემდეგნაირად გამოიყოფოდა: პირველი – დეპოპულაციის 6 რაიონი; მეორე – დეპოპულაციის ზღვართან მყოფი (0-დან 5%-მდე), 19 რაიონი; მესამე – ბუნებრივი მატების საშუალო დონე (5-დან 15%-მდე) 33 რაიონი, რომელთა ნაწილი ახლოს იყო დაბალი ბუნებრივი მატების ზღვართან; მეოთხე – მაღალი დონის მქონენი (15%-ზე მეტი) 11 რაიონი, რომელთა უმრავლესობაში ავტოქტონურ მოსახლეობას არაქართველი მოსახლეობა სჭარბობდა<sup>13</sup>.

მოსახლეობა შემცირდა როგორც ქალაქად, ისევე სოფლად, მაგრამ მოსახლეობის შემცირებამ ძირითადად სოფელი დააზარალა, რომლის მოსახლეობა 23,8%-ით, ხოლო ქალაქის – 6,3%-ით შემცირდა 2014 წლისთვის საქართველოს ეროვნული სტრუქტურა შემდეგნაირად წარმოსდგება: ქართველები – 3177,8

---

<sup>13</sup> А. Сулаберидзе. Особенности демографического развития Грузии. Материалы междунар. конференции «Актуальные проблемы развития демографических процессов в Грузии» Тбилиси, 1999, с.37-49.

ათასი (84,5%); აზერბაიჯანელები – 229,4 ათასი (6,1%); სომხები – 195,6 ათასი (5,2%); რუსები – 56,4 ათასი (1,5%); ოსები – 33,8 ათასი (0,9%); ბერძნები – 15,0 ათასი (0,4%); ქურთები და იეზიდები (ერთად) – 15,0 ათასი (0,4%); ებრაელები – 3,8 ათასი (0,1%) და ა.შ. სამწუხაროა, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებთა გარეშე, რომელთა რაოდენობის განსაზღვრა ერთობ ძნელია – საქართველოს მოსახლეობის ეროვნულ სტრუქტურაში, აფხაზები მხოლოდ 0,1%-ს (3,8 ათასი), ხოლო ოსები – 0,9%-ს (33,8 ათასი) შეადგენენ, მაშინ როდესაც 1989 წელს მთელ საქართველოში მცხოვრებ აფხაზთა რაოდენობა 95,9 ათასს (1,8%), ხოლო ოსების – 164,1 ათასს (3,0%) შეადგენდა. ამასთან, 1989 წლისთვის, დღევანდელ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებთა გათვალისწინების გარეშე, საქართველოს სხვადასხვა რაიონში ცხოვრობდა 2,6 ათასი აფხაზი (0,1%) და 97,7 ათასი ოსი (2,0 %).

ქორწინებათა რაოდენობის შემცირების და გადავადების შედეგად გაიზარდა ქორწინების საშუალო ასაკი და მან ქალებისათვის 26,5, ხოლო მამაკაცებისათვის კი 29,8 წელს მიაღწია. ამ ფონზე დემოგრაფიულ ვითარებას კიდევ უფრო ამწვავებს განქორწინებათა მაღალი მაჩვენებელი. ეს დევიაციური დემოგრაფიული ფაქტორი განსაკუთრებით გაიზარდა ათ წლამდე ხანგრძლივობის ქორწინებებში. განსაკუთრებით საგანგაშოა ერთ წლამდე ასაკის ქორწინებებში მყოფთა განქორწინებათა სიხშირე (2013 – 6,7%, ხოლო 2014 – 7,7%). აღნიშნულმა, ისედაც შემცირების მქონე შობადობის ტენდენციებში კიდევ უფრო შეამცირა პირველი და მეორე შვილის დაბადება, თუმცა ამ ფონზე სასიამოვნოა ბოლო წლებში მესამე და მომდევნო რიგითობის ბავშვთა წილის ზრდა. ამ უკანასკნელის ზრდა თავის მხრივ ადასტურებს, მოსახლეობაში მესამე და შემდგომი რიგითობის ბავშვებზე მოთხოვნილების არსებულ მაღალ დონეს, რომლის სრულ რეალიზაციას ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობები უშლის ხელს.

საქართველო, თავისი დემოგრაფიული განვითარებით დღეისათვის იმყოფება მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვედან უახლეს ტიპზე გარდამავალ პერიოდში. დემოგრაფიული განვითარების კანონზომიერებიდან

გამომდინარე ამ ეტაპისთვის დამახასიათებელია შობადობის შემცირება და მოკვდაობის ზრდა, რასაც მოსახლეობის აღწარმოების უახლეს ტიპზე დეპოპულაცია მოჰყვება<sup>14</sup>

---

<sup>14</sup> ა. სულაბერიძე, ვ. სულაბერიძე. მოსახლეობის აღწარმოების უახლესი ტიპის, ფაზათაშორისი და ტიპათაშორისი გარდამავალი პერიოდის შესახებ. დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის შრომების კრებული. თბილისი, 2004 წ. ტ. 2. გვ. 62-76; გ. წულაძე. მსოფლიოს დემოგრაფიული განვითარება (1950-2050). თბილისი, 2011. გვ. 637-640.

ცხრილი 1. საქართველოს დემოგრაფიული ვითარების შეფასება და დემოგრაფიული პოლიტიკის ორიენტაცია

დემოგრაფიული ინდიკატორები	საერთოხის კრიტიკული დონე	დემოგრაფიული მაჩვენებლები (2014 წ.)		პროგნოზი 2025-2030 წწ. (შეფასების საშუალო ვარიანტი)	
		ოფიციალ. (საქსტატი)	შეფასება	მაჩვენებელი	პროგნოზული მაჩვენებლის შეფასება
მოსახლეობის მატება წელიწადში (ათასი)	0,1	3,73	3,75	0,03-0,05	დაბალი
ბუნებრივი მატება (%)	0,0-1,0	3,1	2,0	-2,8	დაბალი
შობადობა (%)	13,0	16,3	16,4	11,4	დაბალი
მოკვდაობა (%)	13,0	13,2	14,4	14,0	მაღალი
შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი	2,13	2,19	2,33	1,76	დაბალი
მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტი	1,0	1,04	1,10	0,85	დაბალი
ჩვილთა მოკვდაობა (1000 ცოცხლად დაბადებულზე)	განვითარებული ქვეყნების დონე	9,5	15,4	7,9	მაღალი
სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას:					
ორივე სქესი	განვითარებული ქვეყნების დონე	73,0	72,0	75,2	დაბალი
მამაკაცები	„-“	68,7	67,0	71,9	დაბალი
ქალები	„-“	77,2	76,2	78,2	დაბალი
15 წლამდე ასაკის მოსახლეობა (%)	24	17,4	19,9	16,4	დაბალი
15-64 წლის ასაკის მოსახლეობა (%)	69	68,7	64,2	66,6	დაბალი
65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა (%)	7,0	13,9	15,9	16,9	მაღალი
გარე მიგრაციის საღლო (%)	0,0	-1,7	-3,2	0,3	დაბალი



როგორც ცხრილი 1-დან ჩანს საქართველოს დემოგრაფიული განვითარების პერსპექტივები 2025-2030 წწ. კიდევ უფრო ნეგატიურია.<sup>15</sup>

ზემოთ მოტანილიდან გამომდინარე, საქართველოს დემოგრაფიულ განვითარებაზე არსებით გავლენას ახდენს და შემდგომშიც მოახდენს დემოგრაფიული ტალღა. კერძოდ, 1990-იან წლებში შობადობის ერთბაშად დაცემის შედეგად, 2020 წლისთვის, 1990-იან წლებთან შედარებით, 28-30%-ით ნაკლები ქალი გვეყოლება დედის ასაკში (დედის საშუალო ასაკი 27,5 წელი). ხოლო პროგნოზით, 2030 წლის მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტის თანახმად. 2030 წელთან შედარებით, 2055-2060 წლებში კიდევ 15%-ით შემცირდება დედის ასაკში მყოფ ქალთა რაოდენობა. იმ პერიოდისთვის ძნელია განსაზღვრო ბავშვთა მოსალოდნელი რაოდენობა, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მათგან შესაძლოა ზოგიერთი არ გათხოვდეს, ან უშვილოდ დარჩეს, ძნელი მისახვედრი არ არის, რომ 2050 წლისთვის საქართველოს რეპროდუქციული პოტენციალი, დემოგრაფიული უსაფრთხოების თვალაზრისით, დღევანდელთან შედარებით, კიდევ უფრო გაუარესდება.

ქვეყნის დემოგრაფიული განვითარების გაუარესების თვალსაზრით, ბევრად უფრო ცუდადაა საქმე რეგიონებში. დღეისათვის მოსახლეობის ბუნებრივი მატება აღინიშნება მხოლოდ თბილისში, აჭარაში, ქვემო და შიგა ქართლის რაიონებში, დანარჩენ მხარეთა ცალკეულ რაიონებში კი დეპოპულაციაა.

2030 წლისთვის მოსალოდნელი მიგრაციის დადებითი სალდო, 0,3‰-ის ფარგლებშია, რაც უმნიშვნელოა, და ფაქტიურად ნულოვანი სალდოს ფარგლებში 1000 კაცს შეადგენს. მისი სიმცირე

---

<sup>15</sup> მოტანილი პროგნოზი შესრულებულია მხოლოდ დემოგრაფიულ სტატისტიკაზე, არადემოგრაფიული ფაქტორების ზემოქმედების გათვალისწინების გარეშე. ამასთან იგი ეფუძნება პროფესორ გიორგი წულაძის ექსპერტული შეფასების მასალებს, რომლის სიზუსტეც მეტ-ნაკლებად დაადასტურა საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერამ.

მიანიშნებს იმაზე, რომ ქვეყნიდან ისევ მოსალოდნელია ახალგაზრდობის გადინება, თუმცა მათ რაოდენობას გადაფარავს, უცხოეთიდან დაბრუნებული 65 წელს გადაცილებული მოსახლეობა. ამდენად, ქვეყნიდან „ტვინების“ გადინების საშიშროება კვლავ რჩება. ეს უკანასკნელი კი გავლენას იქონიებს ერთი მხრივ, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ, მეორე მხრივ, დემოგრაფიულ განვითარებაზე.

ამდენად, უახლოეს პერსპექტივაში, დღეისათვის, ქვეყნის მხოლოდ ზოგიერთ რეგიონში არსებული დეპოპულაციის ნაცვლად, მოსალოდნელია საქართველოში დეპოპულაციის მასობრივი გავრცელება.

დეპოპულაციაში, ზოგიერთი მეცნიერი<sup>16</sup> ყველაზე მეტ საშიშროებას, უახლოეს ათასწლეულში რიგი „მინი-ერების“ და ხალხთა მთლიანად გაქრობაში ხედავს, რასაც საერთაშორისო კონფლიქტების გამწვავება მოჰყვება.

დემოგრაფიული უსაფრთხოების თვალსაზრისით, დეპოპულაციას ზოგიერთი დემოგრაფი<sup>17</sup> განიხილავს ორი პოზიციიდან: პირველი, დეპოპულაცია დემოგრაფიული განვითარების ევოლუციის კანონზომიერი შედეგია და მასში ვერავითარ სერიოზულ პრობლემას ვერ ხედავენ, ვერც მოსახლეობის შენარჩუნების და ვერც ოჯახის დემოგრაფიული დეგრადაციის კუთხით. პირიქით, მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობის თვალსაზრისით, მას ცივილიზებულ ტიპად მიიჩნევენ. ერთადერთი, რასაც ამ პროცესის ნეგატიურ მხარედ მიიჩნევენ, ესაა მოსახლეობის მაღალი დაბერების შედეგად, მოკვდაობის ზრდა. მეორე პოზიციიდან კი, ისინი დეპოპულაციას განიხილავენ რუსეთის გეოპოლიტიკური მდებარეობიდან, როგორც ერთობ უარყოფითს.

---

<sup>16</sup> Антонов А.И. Политическая демография. Проблемы противодействия, упадок семьи и депопуляция. В сб., «Демографические процессы и семейная политика: региональные проблемы.», М., 1999. с. 6-15.

<sup>17</sup> Захарова О.Д., Рыбаковский Л.Л. Геополитические аспекты депопуляции в России. Социологические исследования №6. 1997. с. 46, 55.

ჩვენ მივეკუთვნებით დემოგრაფთა იმ ნაწილს, ვინც დეპოპულაციას განიხილავს, როგორც კაცობრიობის ეთნიკური საგანმურიდან რომელიმე მცირერიცხოვანი ეთნოსის გაქრობის საშიშროებას.

ჩვენ ვეთანხმებით ა. ანტონოვს, რომ „დეპოპულაცია საზოგადოებისა და ოჯახის ქცევის მნიშვნელოვან სახეცვლილებასთან ერთად გამოიწვევს პროგრესული კაცობრიობის მიერ აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის წინა პლანზე წამოწევას“<sup>18</sup>.

უახლოეს პერსპექტივაში საქართველოში დეპოპულაციის მასობრივ გავრცელებაზე, შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთმა პირველმა, ჯერ კიდევ 1970-იანი წლების დასაწყისში აკად. პ. გუგუშვილი<sup>19</sup> გამოთქვა მოსაზრება და შემდგომ ჩვენს შრომაში<sup>20</sup>. რაჭა-ლეჩხუმისა და სხვა მთიანი რაიონების დემოგრაფიული პროცესების ანალიზის საფუძველზე, დავასაბუთეთ, რომ დეპოპულაციის საწყისი ნიშნები 1970-იანი წლების მეორე ნახევარში საქართველოში უკვე იყო. ამის საფუძველს იძლეოდა ჯერ კიდევ 1970-იანი წლების შუა პერიოდიდან (1975 წ.) 6 რაიონში დაფიქსირებული დეპოპულაცია.

მომდევნო წლებში კი თბილისში 1990 წელს დემოგრაფიულ პრობლემებზე გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე, ასევე დავასაბუთეთ, რომ: დემოგრაფიული ტენდენციების გაგრძელების პირობებში, აქტიური სოციალურ-დემოგრაფიული პოლიტიკის გარეშე, 2000 წლისთვის დაბადებულთა საერთო რაოდენობაში მესამე და შემდგომი რიგითობის ბავშვთა წილი 15%-ზე ნაკლები

---

<sup>18</sup> Антонов А.И. Политическая демография. Проблемы противодействия, упадок семьи и депопуляция. В сб., «Демографические процессы и семейная политика: региональные проблемы.», М., 1999. с. 6-15

<sup>19</sup> პ. გუგუშვილი. საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები. თბილისი, 1973.

<sup>20</sup> ა. სულაბერიძე. „საქართველოს მთიანეთის დემოგრაფიული განვითარების პრობლემები“. თბილისი, 1986.

იქნებოდა, ხოლო შობადობა მოკვდაობის სწრაფი ზრდის ფონზე მოსახლეობის მარტივ აღწარმოებას ვერ უზრუნველყოფდა<sup>21</sup>.

1980-იანი წლების მეორე ნახევრიდან, ჩვენს მიერ დეპოპულაციის თაობაზე არაერთი გამოქვეყნებული საგანგაშო სამეცნიერო თუ პუბლიცისტური წერილი ქვეყნის ხელისუფლების მხრიდან უყურადღებოდ რჩებოდა. ასევე, საქართველოს პარლამენტმა და მთავრობამ არავითარი ყურადღება არ მიაქცია და თაროზე შემოდო ავტორთა ჯგუფის მიერ 1999 წელს შემუშავებული და თვით მთავრობის მიერ დამტკიცებული „საქართველოს დემოგრაფიული განვითარების ერთიანი სოციალურ-დემოგრაფიული და საოჯახო პოლიტიკის კონცეფცია პროგრამული მიმართულებებით“. პრაქტიკულად არაფერი გაუკეთებია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროში 1997-2006 წწ. ფიქტიურად არსებულ დემოგრაფიულ დეპარტამენტს.

საქართველოს ხელისუფლებისა და მთავრობის უმოქმედობის ფონზე, მხოლოდ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, მისი უწმინდესობა და უნეტარესობა ილია II, როგორც ყოველთვის, აღმოჩნდა ერზე მზრუნველი მამა. 2007 წლის ნოემბერში, საპატრიარქოში შექმნილ დემოგრაფიული კომისიის წევრებთან შეხვედრაზე მან მოიწონა ჩვენი წინადადება (ა. სულაბერიძე) და გამოვიდა ინიციატივით ყოველი მესამე და შემდგომი რიგითობის ბავშვის მონათვლაზე.

დემოგრაფიული პოლიტიკის ამ არაორდინალურმა ღონისძიებამ გასაოცარი დემოგრაფიული შედეგი მოიტანა და ამ ინიციატივის სკეპტიკოსებიც (ასეთებიც მრავალნი აღმოჩნდნენ) კი გააოცა. 2007-2014 წწ. დაბადებულთა საერთო რაოდენობაში მესამე და შემდგომი რიგითობის ბავშვთა წილი 10,9%-დან 18,3 %-მდე გაიზარდა. შესაბამისად, ამ წლებში 1,5-დან 2,2 ბავშვამდე გაიზარდა შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის ოფიციალური მაჩვენებელი,

---

<sup>21</sup> Сулаберидзе А. Особенности демографического развития Грузии. Материалы Международной конференции «Актуальные проблемы демографического развития в Грузии». Тб., 1990.

თუმცა უფრო მაღალია ანალოგიური შეფასებითი მაჩვენებელი, რომელიც ამ წლებში 1,8-დან 2,3-მდე გაიზარდა. გაუმჯობესდა მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტიც, რომლის შეფასებითი მაჩვენებელი 1-ის ზევით დაფიქსირდა. ეს დემოგრაფიული მაჩვენებლები გვიჩვენებენ, რომ 2009 წლიდან, შობადობის თვალსაზრისით, მოსალოდნელი დეპოპულაციური პროცესი შეჩერებულია და იგი მოსახლეობის გაფართოებულ აღწარმოებას უზრუნველყოფს, რაც 1991 წლის შემდეგ, როგორც ოფიციალურად, ასევე ექსპერტული შეფასებით 2009 წლამდე არ დაფიქსირებულა.

შობადობის მაჩვენებლის დღევანდელი დონე, როგორც „დემოგრაფიული ფანჯარა“, საშუალებას იძლევა აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარებით მეტ-ნაკლებად გავაუმჯობესოთ სხვა დემოგრაფიული პროცესები, რაც არც თუ ისე ადვილია. საკმე ისაა, რომ დემოგრაფიული ვითარების გამოსწორება და დეპოპულაციის თავიდან აცილება, მხოლოდ შობადობის ზრდით ვერ მიიღწევა. მოკვდაობის ზრდის სწრაფი ტემპის და მაღლი დონის პირობებში, იგი ვერ შეაჩერებს დეპოპულაციას. მან შეიძლება გადაავადოს ან შეარბილოს დეპოპულაციის პროცესი. წლების მანძილზე დემოგრაფიული პროცესებისადმი უყურადღებობამ თავისი შედეგი გამოიღო და დემოგრაფიული პროცესების (დემოგრაფიული დაბერების მაღალი დონე, დეფორმირებული ასაკობრივ-სქესობრივი სტრუქტურა, მოკვდაობის, განსაკუთრებით, დედათა და ჩვილთა მაღალი დონე, ემიგრაციის მაღალი ინტენსივობა და სხვ.) არასასურველი ტენდენციებით განვითარებამ, ქვეყანას გარკვეული დემოგრაფიული საფრთხე შეუქმნა. კერძოდ:

– მოსახლეობის რაოდენობის შემცირების ტენდენცია; ამასთან, საქართველოს მოსახლეობის წილის შემცირება სამხრეთ კავკასიის რეგიონში, მოსახლეობის რაოდენობის შიდა რეგიონული დისპროპორცია; დასახლებული პუნქტების, მათ შორის – სოფლების დაცლა; საშუალო და პატარა ქალაქებიდან მიგრაციიდან გამომდინარე, მათში მოსახლეობის შემცირების შედეგად დიდ

ქალაქებში მოსახლეობის ზრდა; რეგიონული სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის მოსახლეობის რაოდენობრივი შეუსაბამობა;

– დემოგრაფიული სტრუქტურის დეფორმაციის ტენდენცია. მოსახლეობის საერთო რაოდენობაში ახალგაზრდობის წილის შემცირება, დემოგრაფიული დაბერება, ქორწინებითი სტრუქტურის დეფორმაცია;

– მოსახლეობის ბუნებრივი მატების შემცირების ტენდენცია; შობადობის დონის შემცირება; მოკვდაობის დონის ზრდა; საქორწინო და რეპროდუქციული პოტენციალის შემცირება;

– მოსახლეობის უახლესი ტიპი – დეპოპულაცია, როგორც კანონზომიერი დემოგრაფიული პროცესი, რაც უფრო მოკლევადიანი და „რბილი“ (დაბალ დონეზე, ბუნებრივი მატების ნულოვან ზღვართან ახლოს) იქნება ქვეყანაში, მით უფრო უსაფრთხოა იგი ქვეყნისა და ერის ფიზიკური უწყვეტობისთვის და არსებობისათვის.

### 3. მოსახლეობის რაოდენობა, ასაკობრივ-სქესობრივი და ეროვნული შემადგენლობა

საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა თითქმის ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში დაახლოებით 1 მილიონი ადამიანით შემცირდა.

მოცემული ნაშრომის სახელწოდებიდან გამომდინარე, გასაგებია, რომ ყურადღება ეთმობა არა მხოლოდ ზოგადად საქართველოს, არამედ მის ცალკეულ რეგიონებს.

აღსანიშნავია, რომ რეგიონული თვალსაზრისით, მოსახლეობის საერთო რაოდენობის კლების ფონზე, მატეხას ჰქონდა ადგილი (1970-2014 წწ. პერიოდისათვის) თბილისსა და აჭარაში (იხ. დანართი, ცხრილი 1).

უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონების მოსახლეობის რაოდენობა ყოველთვის მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. თბილისი და იმერეთი ყველაზე ხალხმრავალ რეგიონებს წარმოადგენდა. თუმცა განსხვავება მათ შორის ის არის, რომ თბილისის მოსახლეობა უფრო ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა (კლებას ჰქონდა ადგილი 1989-2002 წლების პერიოდში), ხოლო იმერეთის მოსახლეობის რაოდენობა, 1970-1989 წლებში, ზრდის შემდეგ, კლებას განიცდის და სადღეისოდ მნიშვნელოვნად ნაკლებია, ვიდრე 1970 წელს იყო.


მოსახლეობის რაოდენობის სიმცირით საქართველოში ყოველთვის გამოირჩეოდა რაჭა-ლეჩხუმი და ზემო სვანეთი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ აღნიშნული რეგიონის მოსახლეობის რაოდენობა მუდმივად განიცდიდა კლებას მთელი 1970-2014 წლების პერიოდში. საბოლოოდ რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მოსახლეობის რაოდენობა 2014 წლისათვის 1970 წელთან შედარებით 2,5-ჯერ შემცირდა.

შესადარებლად, იმერეთის რეგიონის მოსახლეობის რაოდენობა, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, შემცირდა 1,3-ჯერ.

ქვემოთ მოტანილ დიაგრამაზე გამოსახულია საქართველოსა და რეგიონების მოსახლეობის რაოდენობა 1970 და 2015 წწ.

რეგიონები განლაგებულია მოსახლეობის რაოდენობის კლების მიხედვით.

დიაგრამა 8. საქართველოსა და რეგიონების მოსახლეობის რაოდენობა (ათასი) 1970 და 2014 წწ.



წყარო: დანართი, ცხრილი 1

როგორც ვხედავთ, მოსახლეობის ყველაზე დიდი რაოდენობით გამოირჩევა თბილისი და შემდეგ იმერეთი, ხოლო ყველაზე მცირე რაოდენობით – რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი. ამასთან, განსხვავება მათ შორის ძალიან მნიშვნელოვანია: მაგ., 2014 წლისათვის რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მოსახლეობის რაოდენობა იმერეთის მოსახლეობის რაოდენობაზეც კი 17-ჯერ ნაკლები იყო, ხოლო თბილისის მოსახლეობის რაოდენობაზე – 35-ჯერ ნაკლები.

ზემოთ აღნიშნული რაოდენობრივი განსხვავებები პროცენტული თვალსაზრისით ზოგჯერ მნიშვნელოვანია, ხოლო ზოგ შემთხვევაში – უმნიშვნელო.

1970-2014 წლების პერიოდში, საქართველოს მთელ მოსახლეობაში, თბილისის მოსახლეობის წილი მუდმივად იზრდებოდა (19%-დან 30%-მდე). სხვა რეგიონებისათვის ცვალებადობა უმნიშვნელო იყო.



ქვემოთ ცხრილში მოტანილია საქართველოსა და რეგიონების მოსახლეობის რაოდენობის განსხვავება 2015 წელს 1970 წელთან შედარებით.

ცხრილი 2. საქართველოსა და რეგიონებისათვის სხვაობა მოსახლეობის რაოდენობას შორის და მოსახლეობის მატების კოეფიციენტები 1970 და 2015 წლებისათვის

	სხვაობა 2015 და 1970 წ. მოსახლეობას შორის (ათასი)	მოსახლეობის მატების კოეფიციენტი	მოსახლეობის მატების კოეფიციენტი (%)
საქართველო	-957,0	-0,23	-22,7
თბილისი	226,4	0,23	22,5
აჭარა	26,7	0,08	8,3
გურია	-36,5	-0,28	-27,8
იმერეთი	-183,0	-0,29	-29,2
კახეთი	-97,1	-0,26	-26,4
მცხეთა-მთიანეთი	-22,1	-0,21	-21,0
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	-48,2	-0,86	-86,2
სამეგრელო-ზემო სვანეთი	-81,4	-0,22	-21,9
სამცხე-ჯავახეთი	-71,5	-0,36	-36,5
ქვემო ქართლი	-73,7	-0,16	-16,0
შიდა ქართლი	-10,2	-0,04	-3,8

წყარო: დანართი, ცხრილი 1

პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა აღნიშნულ პერიოდში შემცირდა 957 ათასით,

ამასთან, როგორც ვხედავთ, მოსახლეობის რაოდენობის კლების თვალსაზრისით, განსხვავება რეგიონებს შორის მნიშვნელოვანია, ხოლო ორი რეგიონისათვის – თბილისი და აჭარა – მოსახლეობის რაოდენობის მატებას ჰქონდა ადგილი,

აღნიშნულ პერიოდში მოსახლეობის რაოდენობის ცვლილებაზე რეგიონებისათვის კარგ წარმოდგენას იძლევა მოსახლეობის მატების კოეფიციენტი. ყველაზე მნიშვნელოვანი კლება დამახასიათებელი იყო რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთისათვის (86,2%), ხოლო ყველაზე მცირე – შიდა ქართლში.

რაც შეეხება რეგიონების შემადგენლობას, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის მიხედვით, უნდა ითქვას, რომ განსხვავება ყოველთვის იყო და სადღეისოდაც რჩება.

1970 წელს საქართველოს ყველა რეგიონში ქალაქის მოსახლეობის წილი ნაკლები იყო სოფლისაზე (ბუნებრივია, თბილისის გარდა).

ამ თვალსაზრისით, გარკვეული ცვალებადობის მიუხედავად, 2014 წლისათვის მხოლოდ აჭარა აღმოჩნდა ის რეგიონი, სადაც ქალაქის მოსახლეობის წილმა გადააჭარბა სოფლისას. ზოგ საკმაოდ მსხვილ რეგიონში, მაგ., როგორც კახეთია ქალაქის მოსახლეობის წილი 2014 წლისათვისაც კი არ აღემატებოდა 29%-ს. ამავე დროს მთლიანად საქართველოში ქალაქის მოსახლეობის წილი 1979 წლიდან აღემატება სოფლისას, რაც განპირობებულია თბილისის რეგიონით.

აღსანიშნავია უკაცრიელი სოფლების პრობლემა.

ცხრილი 3. უკაცრიელი სოფლების რაოდენობა საქართველოში 2014 წელს (2014 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით)

	უკაცრიელი სოფლების რაოდენობა 2014 წ.
საქართველო	223
თბილისი	-
აჭარა	3
გურია	
იმერეთი	8
კახეთი	53
მცხეთა-მთიანეთი	75
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	10
სამეგრელო-ზემო სვანეთი	7
სამცხე-ჯავახეთი	10
ქვემო ქართლი	13
შიდა ქართლი	44

როგორც ვხედავთ საქართველოში 2014 წლისათვის 223 უკაცრიელი სოფელი იყო. ამასთან, ყველაზე მეტი უკაცრიელი სოფლების რაოდენობა მოდიოდა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში.


აღსანიშნავია, რომ გურია იმ რეგიონს წარმოადგენს, სადაც 2014 წლისქათვის არცერთი უკაცრიელი სოფელი არ იყო.

უკაცრიელი სოფლების პრობლემას ის გარემოებაც წარმოადგენს, რომ წლიდან-წლამდე უკაცრიელი სოფლების რაოდენობა საქართველოში მატულობს. მხოლოდ 2002 წლის შემდეგ 2014 წლამდე საქართველოში 60-ზე მეტი სოფელი გაუკაცრიელდა.

რაც შეეხება ასაკობრივ-სქესობრივ და ეროვნულ შემადგენლობას რეგიონების მიხედვით.


ქვემოთ, პირველ რიგში, განვიხილავთ ასაკობრივ შემადგენლობას 2014 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემების საფუძველზე.

დიაგრამა 9. 15 წლამდე და 65 და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი (%) საქართველოს რეგიონების მიხედვით (საქსტატის მონაცემებით)



როგორც ვხედავთ, ყველაზე ახალგაზრდული შემადგენლობით გამოირჩევა ქვემო ქართლი, ხოლო შემდეგ აჭარა. დაბალია 15 წლამდე მოსახლეობის წილი რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში. სამაგიეროდ, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ყველაზე დაბერებული მოსახლეობაა. დაბერებული მოსახლეობის ყველაზე დაბალი წილი აჭარასა და ქვემო ქართლშია.

დიაგრამა 10. მამაკაცებისა და ქალების წილი (%) რეგიონების მიხედვით (2014 წლის მოსახლეობის აღწერის მასალების მიხედვით, საქსტატის მონაცემებით)



როგორც ვხედავთ, მხოლოდ მცხეთა-მთიანეთში მამაკაცების წილი უმნიშვნელოდ აღემატება ქალებისას. სხვა რეგიონში ქალების წილი მეტია მამაკაცებთან შედარებით, თუმცა განსხვავება დიდი არ არის. გამონაკლისს თბილისი წარმოადგენს, სადაც სხვა რეგიონებთან შედარებით ქალების წილი 9,2%-ით აღემატება მამაკაცებისას.

ცალკეულ შემთხვევაში, საკმაოდ განსხვავებულია ეროვნული შემადგენლობა რეგიონების მიხედვით. მართალია უმრავლეს შემთხვევაში რეგიონებში მაღალია ქართველების წილი და ზოგიერთ შემთხვევაში 95%-ს აღემატება. ორ შემთხვევაში – სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში ქართველების წილი საკმაოდ მცირეა. მართალია დიდი განსხვავება არ არის, თუმცა სამცხე-ჯავახეთში სომხების წილი რამდენადმე აღემატება ქართველებისას.

ცხრილი 4. ეროვნებების რაოდენობა (ათასი) და წილი (%) რეგიონების მიხედვით (2014 წლის მოსახლეობის აღწერის მასალების მიხედვით)

	სულ	ქართველი	აზერბაიჯანელი	სომეხი	რუსი	ოსი	იუზიდი	უკრაინელი	ქისტი	ზერმენი	ასირიელი	სხვა
<b>რაოდენობა (ათასი)</b>												
<b>საქართველო</b>	3713	3225	233	168	26	14	12	6	6	6	2	14
თბილისი	1108	997	15	53	13	4	11	3	0	2	1	8
აჭარა	334	321	0	5	4	0	0	1	0	1	0	2
გურია	113	111	0	1	1	0	0	0	0	0	0	0
იმერეთი	534	530	0	1	1	0	0	0	0	0	0	1
კახეთი	319	271	32	2	2	3	1	0	6	0	0	2
მცხეთა-მთიანეთი	95	89	2	0	0	1	0	0	0	0	1	0
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	32	32	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
სამეგრელო-ზემო სვანეთი	331	329	0	0	1	0	0	0	0	0	0	0
სამცხე-ჯავახეთი	160	77	0	81	1	0	0	0	0	0	0	0
ქვემო ქართლი	424	217	177	22	3	1	0	1	0	2	0	1
შიდა ქართლი	263	249	6	2	1	5	0	0	0	0	0	0
<b>%</b>												
<b>საქართველო</b>	100.0	86.8	6.3	4.5	0.7	0.4	0.3	0.2	0.2	0.1	0.1	0.4
თბილისი	100.0	90.0	1.4	4.8	1.2	0.4	1.0	0.3	0.0	0.2	0.1	0.7
აჭარა	100.0	96.0	0.1	1.6	1.1	0.0	0.0	0.2	0.0	0.2	0.0	0.6
გურია	100.0	98.1	0.0	1.1	0.5	0.0	0.0	0.1	0.0	0.0	0.0	0.1
იმერეთი	100.0	99.3	0.0	0.1	0.3	0.0	0.0	0.1	0.0	0.0	0.0	0.1
კახეთი	100.0	85.2	10.2	0.7	0.6	0.8	0.2	0.1	1.8	0.0	0.0	0.6
მცხეთა-მთიანეთი	100.0	94.5	2.4	0.3	0.3	1.4	0.1	0.1	0.0	0.1	0.7	0.1
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	100.0	99.7	0.0	0.0	0.1	0.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.1
სამეგრელო-ზემო სვანეთი	100.0	99.4	0.0	0.0	0.4	0.0	0.0	0.1	0.0	0.0	0.0	0.1
სამცხე-ჯავახეთი	100.0	48.4	0.1	50.7	0.4	0.2	0.0	0.1	0.0	0.3	0.0	0.1
ქვემო ქართლი	100.0	51.3	41.8	5.1	0.6	0.2	0.1	0.1	0.0	0.5	0.1	0.2
შიდა ქართლი	100.0	94.7	2.1	0.8	0.3	1.8	0.0	0.1	0.0	0.1	0.0	0.2

აზერბაიჯანელები ძირითადად ქვემო ქართლში ცხოვრობენ, თუმცა მოცემულ შემთხვევაში, ქართველების წილი თითქმის 10%-ით მეტია.

სხვა ეროვნებების როგორც რაოდენობა, ისე წილი საკმაოდ მცირეა.

#### 4. შობადობა

შობადობა საქართველოში იმ დემოგრაფიულ პროცესს წარმოადგენს, რომელიც მუდმივ ცვლილებას განიცდის.

ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობით თუ ვიხელმძღვანელებთ, იყო წლები, როდესაც საქართველოში 100000-ზე მეტი იბადებოდა (104429 – 1961 წელს). საქსტატის მონაცემებით დაბადებულთა ყველაზე მცირე რაოდენობა (46194) საქართველოში 2003 წელს იყო დაფიქსირებული.


ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა მნიშვნელოვნად განსხვავდება რეგიონების მიხედვით (იხ. დანართი, ცხრილი 3). ამასთან, ცვალებადობის მიუხედავად, 2002-2003 წლამდე ძირითადად კლების ტენდენცია შეიმჩნეოდა. 2002 წლის მონაცემებს თუ შევადარებთ 2014 წლისას, ვნახავთ, რომ ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა, როგორც ზოგადად საქართველოში, ისე ყველა რეგიონში გაზრდილია. აღნიშნული მატება საქართველოში 2008 წლიდან იწყება. შემდეგ წლებში, ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობის ცვალებადობის მიუხედავად, ის მაინც საკმაოდ მაღალია.

ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობის რეგიონული განსხვავებები ძირითადად ორი მიზეზით არის განპირობებული: 1) მოსახლეობის რაოდენობით და 2) თვითონ შობადობის ინტენსივობით.

მოსახლეობის რაოდენობის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი. რაც შეეხება შობადობის ინტენსივობას რეგიონების მიხედვით, ჩვენ შეიძლება დავინახოთ რომ ყველა რეგიონში, 2014 წლისათვის ის ნაკლები იყო, ვიდრე 1970 წელს. ყველაზე დაბალი მაჩვენებლები 2002 წლისათვის იყო. 2014 წელს 2002 წელთან შედარებით შობადობა საქართველოს ყველა რეგიონში გაიზარდა, მართალია სხვადასხვა სიდიდით. მაგ., რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში შობადობა 2,6-ჯერ გაიზარდა. მიუხედავად ამისა, ის ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის მარტივ აღწარმოებას.

ქვემოთ მოტანილია შობადობის ზოგადი კოეფიციენტები საქართველოსა და რეგიონების მიხედვით პერიოდისათვის.

დიაგრამა 11. შობადობის ზოგადი კოეფიციენტები (%o)



წყარო: დანართი, ცხრილი 15

განსხვავებები საკმაოდ თვალსაჩინოა. თბილისში, ყველა სხვა რეგიონისგან განსხვავებით, სადაც შობადობა შემცირდა, 2002 წლისათვის 1989 წელთან შედარებით შობადობის დონე პრაქტიკულად არ შეცვლილა (უმნიშვნელო მატებასაც კი ჰქონდა ადგილი). ყველაზე მნიშვნელოვან შემცირებას ჰქონდა ადგილი ქვემო ქართლში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში, კახეთსა და მცხეთა-მთიანეთში.


რაც შეეხება შობადობის ზრდას, 2014 წელს 2002 წელთან შედარებით, ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (2,6-ჯერ), კახეთსა (2,3-ჯერ) და ქვემო ქართლში (2,2-ჯერ). შეგახსენებთ, რომ ეს დასახელებული რეგიონები იმ სიაშიც იყვნენ, სადაც შობადობა 1989 წელთან შედარებით 2002 წლისათვის ყველაზე მნიშვნელოვნად შემცირდა.

აქვე გვინდა შევეხოთ შობადობასთან დაკავშირებულ ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორც არის სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა ცოცხლად დაბადებულებში.

საქართველოსათვის ეს საკითხი საკმაოდ აქტუალური გახდა 1990-იანი წლებიდან.

საქმე ის არის, რომ ზოგადად საქართველოსათვის სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა ცოცხლად დაბადებულებში 1970-1989 წლების სტატისტიკის მონაცემებით „ნორმალურის“ (104-107 ბიჭების რაოდენობა 100 გოგოზე) ფარგლებში იყო და 1990-იანი წლებიდან, ამ თვალსაზრისით, დარღვევებს ჰქონდა ადგილი, ანუ 100 გოგოზე 107 ბიჭზე მეტი მოდიოდა. მაგალითისათვის მოვიტანთ დიაგრამას.

დიაგრამა 12. სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა ცოცხლად დაბადებულებში საქართველოში 2002-2014 წლებისათვის (საქსტქატის მონაცემებით)



წყარო: G.Tsuladze. Demographic Yearbook of Georgia 2014. UNFPA. Tbilisi, 2015. p. 55.

შეიძლება ითქვას, რომ განსხვავება როგორც წლების, ისე სიდიდის მიხედვით შეიმჩნევა. ცალკეულ წლებში (2008) არნახულ მაქსიმუმს ჰქონდა ადგილი, ხოლო შემდეგ მინიმუმს (2009). 2012 წლის შემდეგ სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის სიდიდე მცირდება და 2014 წლისათვის ნორმალურს უახლოვდება.

აღნიშნული დარღვევის ასახველად ძირითადად ორი მოსაზრება არსებობს.



ერთთა თვალსაზრისით სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევა ცოცხლად დაბადებულებში გამოწვეულია ორსულობისას სქესის გამოვლენის ადრეული დიაგნოსტიკის შედეგით, რომელსაც საბოლოოდ მოჰყვება ხელოვნური აბორტი და მიიღება დისპროპორცია. ლოგიკა მოცემულ შემთხვევაში შემდეგნაირია: ვინაიდან საქართველოში ბიჭებს მეტი უპირატესობა ენიჭება, ვიდრე გოგოებს, ადრეული დიაგნოსტიკისას გოგოს ნაყოფის შემთხვევაში ზოგიერთი მიმართავს ხელოვნურ აბორტს, რაც საბოლოოდ იწვევს აღნიშნულ დისპროპორციას.

მეორეთა აზრით სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევა ცოცხლად დაბადებულებში ძირითადად გამოწვეულია სტატისტიკური აღრიცხვის არასრულყოფილებით. მოცემულ შემთხვევაში ის არგუმენტიც მოჰყავთ, რომ ადრეულ დიაგნოსტიკამდე გაცილებით ადრე საქართველოში ადგილი ჰქონდა აღნიშნულ დარღვევას. მაგ., მე-19 საუკუნის ბოლოს თბილისის გუბერნიაში ცოცხლად დაბადებულებში 100 გოგოზე მოდიოდა 115 ბიჭი. რაც შეეხება თანამედროვე პერიოდს, თვითონ სიდიდის მნიშვნელოვანი რყევა (2008-2009 წწ.) მეტყველებს არასრული აღრიცხვის შედეგზე. აღრიცხვის მოწესრიგებასთან ერთად აღნიშნული პრობლემაც აღარ იარსებებს. ამასთან, საქართველოში ბიჭის სქესის უპირატესობა გოგოზე არც თუ ისე უტყუარი ფაქტია. მაგ., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მიერ 2013 წელს ჩატარებული კვლევის შედეგებიდან გამომდინარეობს: მართალია, განსხვავება შეიმჩნევა მამაკაცებისა და ქალების მიერ დასახელებული ბავშვების რაოდენობაში, მაგრამ საერთო რაოდენობა დიფერენცირებული სქესის მიხედვით მსგავსია – იმდენივე გოგოზეა ორიენტაცია, რამდენიც ბიჭზე. რა თქმა უნდა ხელოვნური აბორტები სასურველი სქესის ბავშვის გამო კეთდება, თუმცა მისი მასშტაბი გაცილებით მცირეა და, აქედან გამომდინარე, ვერ მივიღებდით სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის ცოცხლად დაბადებულებში ისეთ მნიშვნელოვან დარღვევას, როგორც ეს სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარეობს.

რაც შეეხება რეგიონებს.

უნდა აღინიშნოს, რომ 1970-1989 წლებში ზოგადად საქართველოსათვის ნორმალური სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა (105-106) არაერთგვაროვანი იყო საქართველოს რეგიონებისათვის (იხ. დანართი, ცხრილი 18).

1970 წელს ყველაზე დაბალი სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა ცოცხლად დაბადებულებში დაფიქსირებული იყო შიდა ქართლსა (100,1) და იმერეთში (101,6), ხოლო ყველაზე მაღალი – თბილისსა (110,8) და სამეგრელო-ზემო სვანეთში (110,7).

1979 წლისათვის მდგომარეობა რამდენადმე შეიცვალა. ყველაზე მაღალი სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობით გამოირჩეოდა რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი (112,2), ხოლო ყველაზე დაბალით – სამხრეთ ოსეთი (98,5).

1989 წლისათვის მდგომარეობა ისევ იცვლება. სამხრეთ ოსეთში უკვე ყველაზე მაღალი სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობაა (121,7), ხოლო ყველაზე დაბალით – მცხეთა-მთიანეთსა (99,8) და შიდა ქართლში (99,9).

2014 წლისათვის, წინა პერიოდთან შედარებით, საქართველოს რეგიონები სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობით ცოცხლად დაბადებულებში უფრო ნაკლებად განსხვავდება ერთმანეთისგან. მინიმალური სიდიდე დაფიქსირებული იყო აჭარაში (103,8), ხოლო მაქსიმალური – გურიაში (114,6), ქვემო ქართლსა (114,3) და რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (114,1).

მოტანილი რეგიონული განსხვავებები ირიბად იმ მოსაზრების სასარგებლოდ მეტყველებს, რომ საქართველოში სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევა ცოცხლად დაბადებულებში ძირითადად გამოწვეულია მასთან დაკავშირებული სტატისტიკური აღრიცხვით.

ჩვენ არ ვუარყოფთ სელექციური აბორტების არსებობას, მაგრამ, როგორც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული სოციოლოგიურ-დემოგრაფიული კვლევის<sup>22</sup> შედეგებიდან

---

<sup>22</sup> შ. წიკლაური. სელექციური აბორტები საქართველოში – მითი თუ რეალობა?! დემოგრაფიის და სოციოლოგიის პრობლემები. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის შრომების კრებული. თბილისი, 2014. გვ. 55-63.

გამომდინარეობს, ასეთი აბორტების წილი საქართველოში მცირეა (1,7% ყველა გაკეთებულ აბორტებს შორის). გამოკითხული ქალებისა და მამაკაცების მიერ დასახელებული ოჯახში ბიჭებისა და გოგონების საშუალო რაოდენობა ერთმანეთისგან არ განსხვავდება.

აღსანიშნავია, რომ ამავე კვლევიდან გამომდინარე, თუ ოჯახში 2 ბავშვი იყო დაგეგმილი, მეორე ბავშვის იმავე სქესის შემთხვევაში, რაც პირველია, ბავშვს იყოლიებდა მამაკაცების 91,8% და ქალების 94,4%<sup>23</sup>. ამდენად, დიდი უმრავლესობა მაინც იყოლიებს ბავშვს მიუხედავად იმისა, რომ ორივე ბავშვი ერთი სქესის შეიძლება იყოს. როგორც მამაკაცების, ისე ქალების მეტ წილს მიაჩნია, რომ მომავალი ბავშვის სქესი არ წარმოადგენს იმ გარემოებას, რომელზეც დამოკიდებულია პიროვნების გადაწყვეტილება იყოლიოს შვილი უახლოეს 5 წელიწადში. ამასთან, შვილის ყოლის გადაწყვეტილების ძირითად გარემოებად მამაკაცები მიიჩნევენ მეუღლის ჯანმრთელობასა და ფინანსურ მდგომარეობას, ხოლო ქალები – პირად ჯანმრთელობას და მეუღლის სამსახურს.

მოცემულზე წარმოდგენას იძლევა ჩვენი გამოკვევის შედეგები, რომელიც მოტანილია ცხრილში

ცხრილი 5. გამოკითხულ ქალთა მიერ ბოლოს გაკეთებული აბორტის მიზეზები (%)

მიზეზი	%
აღარ მინდოდა მეტი შვილი	31,8
ორსულობა საფრთხეს უქმნიდა ჩემს ჯანმრთელობას	28,3
მოსალოდნელი იყო ავადმყოფი ბავშვის დაბადება	5,2
ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის გამო	29,6
ჩემს პარტნიორს აღარ სურდა მეტი შვილის ყოლა	2,6
არ მსურდა ვყოფილიყავი მარტოხელა დედა	0,9
მინდოდა სხვა სქესის ბავშვის ყოლა	1,7
სულ	100,0

<sup>23</sup> ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის 2014 წლის სოციოლოგიური კვლევის მასალები.

აღნიშნულს ადასტურებს სხვა კვლევებიც. მაგალითად, “Reproductive Health Survey Georgia, 2010” გამომდინარეობს, რომ ასეთი ქალების წილი მხოლოდ 1,4%-ია.

ამდენად, სქესთა მეორეული რაოდენობრივი თანაფარდობის დარღვევა საქართველოში გამოწვეულია არა სელექციური აბორტებით, არამედ დაბადებულთა აღრიცხვის ხარვეზებით, რაც პირველ თავში განვიხილეთ. ასევე მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქართველოში სქესთა მეორეული თანაფარდობის დარღვევა ბიჭების სასარგებლოდ გამოწვეულია სელექციური აბორტებით, ვინაიდან ბიჭს მეტ უპირატესობას ანიჭებენ არ დასტურდება. მსგავსი დასკვნა მიღებული იქნა სხვა მკვლევარების მიერაც. კერძოდ, შ.წიკლაურის დასკვნით: „საქართველოში სქესთა რაოდენობრივი „დარღვევის“ ძირითად მიზეზს წარმოადგენს ხარვეზები მოსახლეობის სტატისტიკაში, თუმცა გარკვეულწილად ადგილი აქვს სელექციურ აბორტებსაც“<sup>24</sup>.


---

<sup>24</sup> შ. წიკლაური. სელექციური აბორტები საქართველოში – მითი თუ რეალობა?! დემოგრაფიის და სოციოლოგიის პრობლემები. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის შრომების კრებული. თბილისი, 2014. გვ. 55-63.

## 5. მოკვდაობა და სიცოცხლის ხანგრძლივობა

საქართველოს დემოგრაფიული განვითარების იმ ეტაპზე, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ, ანუ 1970-იანი წლებიდან, მოკვდაობის საერთო დონე მუდმივ ზრდას განიცდის, რაც ძირითადად დემოგრაფიული დაბერების შედეგია.

დიაგრამა 13. მოკვდაობა მოსახლეობის 1000 სულზე (‰) საქართველოში 1970-2014 წწ.




წყარო: დანართი, ცხრილი 19.

აღსანიშნავია, რომ ამ თვალსაზრისით განსხვავებები რეგიონების მიხედვით თვალსაჩინოა. ყველაზე დაბალი მოკვდაობის ინტენსივობა ქვემო ქართლისთვის იყო დამახასიათებელი და სადღეისოდაც ასეა, ხოლო ყველაზე მაღალი მოკვდაობით გამოირჩეოდა და ბოლო დრომდე რჩება რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი. ამასთან, 2014 წელს 1970 წელთან შედარებით მოკვდაობის ინტენსივობა მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც ქვემო ქართლში (1,8-ჯერ), ისე განსაკუთრებით რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (2,1-ჯერ).

მოკვდაობის ზრდა დროთა განმავლობაში, მთელი აღნიშნული პერიოდისათვის, ყველა რეგიონისათვის იყო დამახასიათებელი, მართალია სხვადასხვა ზომით. ყველაზე ნაკლებად მოკვდაობის ინტენსივობა გაიზარდა თბილისსა (1,4-ჯერ) და აჭარაში (1,5-ჯერ), ხოლო ყველაზე მეტად – იმერეთში, მცხეთა მთიანეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთსა და სამცხე-ჯავახეთში (2,1-ჯერ).

დიაგრამა 14. მოკვდაობა მოსახლეობის 1000 სულზე (%<sup>oo</sup>) საქართველოში რეგიონების მიხედვით 1970-2014 წწ.



წყარო: დანართი, ცხრილი 19.

სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობაზე რეგიონების მიხედვით, მოცემულ შემთხვევაში, სამწუხაროდ შეიძლება ვიმსჯელოთ მხოლოდ 2014 წლისათვის.

ქვემოთ, ცხრილი 3-ში მოცემულია სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას რეგიონების მიხედვით. ბუნებრივია, აღნიშნული მონაცემების მისაღებად აგებულ იქნა მოკვდაობის ცხრილები.

მამაკაცებისათვის სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას რეგიონების მიხედვით მერყეობს 67-71 წელს შორის. ის ყველაზე დაბალია სამეგრელო-ზემო სვანეთში (67,0), ხოლო ყველაზე მაღალი სამცხე-ჯავახეთში (70,7). ამდენად, სხვაობა მაქსიმუმსა და მინიმუმს შორის რეგიონებისათვის 3,7 წელს შეადგენს.

ქალების შემთხვევაში ყველაზე დაბალი მაჩვენებელი გვხვდება რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (76,4), ხოლო ყველაზე მაღალი მცხეთა-მთიანეთში (77,7). ამდენად, განსხვავება რეგიონებს

შორის 1,3 წელს წარმოადგენს, რაც გაცილებით ნაკლებია მამაკაცებთან შედარებით.

ცხრილი 6. სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას საქართველოსა და რეგიონების მიხედვით 2014 წ.

	ორივე სქესი	მამაკაცები	ქალები
საქართველო	73.0	68.7	77.2
თბილისი	73.1	68.6	76.9
აჭარა	72.9	69.3	76.9
გურია	72.8	68.4	77.4
იმერეთი	71.8	67.3	76.6
კახეთი	72.6	68.9	76.5
მცხეთა-მთიანეთი	72.4	67.9	77.7
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	71.6	67.6	76.4
სამეგრელო-ზემო სვანეთი	71.8	67.0	76.9
სამცხე-ჯავახეთი	73.8	70.7	76.9
ქვემო ქართლი	73.3	69.6	76.9
შიდა ქართლი	72.8	68.9	76.8

განგარიშებულია ჩვენს მიერ საქსტატის მონაცემების საფუძველზე.


## 6. ბუნებრივი მატება

ბუნებრივი მატება შობადობისა და მოკვდაობის ურთიერთქმედების შედეგს წარმოადგენს. განსახილველი პერიოდის განმავლობაში, ზოგადად საქართველოში, ბუნებრივი მატება კლებას განიცდიდა და 2002 წელს ნულამდე დაეცა. შემდეგ შეიმჩნევა მისი ზრდა (იხ. დანართი, ცხრილი 20).

რეგიონული თვალსაზრისით, განსხვავებებს შობადობასა და მოკვდაობას შორის მოჰყვა შესაბამისი განსხვავებები ბუნებრივ მატებაში.

სხვებთან შედარებით, მაღალი ბუნებრივი მატებით როგორც 1970, ისე შემდეგ წლებში გამოირჩეოდა აჭარა დაქვემო ქართლი, ხოლო ყველაზე დაბალი ბუნებრივი მატებით – რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი.

დიაგრამა 15. ბუნებრივი მატება (%o) საქართველოს რეგიონების მიხედვით



წყარო: დანართი, ცხრილი 20.



სხვებთან შედარებით, მაღალი ბუნებრივი მატებით როგორც 1970, ისე შემდეგ წლებში გამოირჩეოდა აჭარა და ქვემო ქართლი, ხოლო– რაჭა-ლეჩხუმში და ქვემო სვანეთში ბუნებრივი მატების ნაცვლად კლება აღინიშნა.

აღსანიშნავია, რომ უკვე 1979 წლისათვის რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში დეპოპულაციას ჰქონდა ადგილი, რომელიც შემდეგ პერიოდში კიდევ უფრო გამოხატულ ხასიათს ღებულობს.

დეპოპულაციის თვალსაზრისით ყველაზე მძიმე ვითარება შეინიშნებოდა 2002 წელს. ამ დროისათვის დეპოპულაცია მიმდინარეობდა საქართველოს ისეთ 6 რეგიონში, როგორც არის რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, გურია, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, იმერეთი და სამეგრელო-ზემო სვანეთი. იმ დროისათვის, აღნიშნულ რეგიონებში, საქართველოს მოსახლეობის 43,3% იმყოფებოდა. მართალია, 2014 წლისათვის მდგომარეობა რამდენადმე გამოსწორდა და დეპოპულაციამ დაიკლო ყველა აღნიშნულ რეგიონში, გარდა რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთისა. რაც შეეხება კახეთს, იქ დეპოპულაცია შეიცვალა ძალიან უმნიშვნელო ბუნებრივი მატებით.

## 7. ქორწინება

როგორც ცნობილია ქორწინება საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების გარკვეულ საფეხურზე კანონით ან ჩვეულებით ნებადართული კავშირია ქალსა და მამაკაცს შორის, რომელიც აწესრიგებს მათ ურთიერთობას, შვილებისადმი დამოკიდებულებას და განსაზღვრავს თითოეული მათგანის ადგილს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ქორწინების წარმოშობა-განვითარების შესახებ მრავალი შეხედულება არსებობს. შუა და ზედა პალეოლითის ხანაში, გვაროვნული წყობილების ჩამოყალიბების საფეხურზე, წარმოიქმნა ეგზოგამია და ჯგუფური ქორწინება. გვაროვნულ წყობილებაში შეიქმნა წყვილადი ქორწინება. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ საქორწინო ურთიერთობის ამ საფეხურზე ცოლი და ქმარი საცხოვრებლად რჩებოდნენ თავ-თავიანთ გვარში. უფრო მოგვიანებით ქმარი დასახლდა ცოლის გვარში, ხოლო შემდეგ ცოლი გადავიდა ქმრის გვარში. მეუღლეთა პირადი ქონება გაუყოფელი იყო, ხოლო ქორწინება – არამყარი. წყვილადი ქორწინების ყველა აღნიშნული ფორმა ინარჩუნებდა ჯგუფური ქორწინების გადმონაშთებს. გვაროვნული წყობილების დაშლის ხანაში მომზადდა ნიადაგი კლასობრივი საზოგადოებისათვის, არსებითად შეიცვალა ქორწინების ბუნებაც. გვარის დაშლის საფუძველზე შეიქმნა დიდი პატრიარქალური ოჯახი ანუ საოჯახო თემი და მონოგამიური ქორწინება. ქორწინების ყველაზე მყარი ფორმაა ცოლ-ქმრული წყვილისა და მათი შთამომავლობის მტკიცე კავშირი მამაკაცის ხაზით. მონოგამიურმა ქორწინებამ დასრულებული სახე მიიღო ინდივიდუალური ანუ პატარა ოჯახის ჩამოყალიბების დროიდან.<sup>25</sup>

როგორც ვხედავთ, 1970-2014 წლების პერიოდში ქორწინების მაჩვენებელი მოსახლეობის 1000 სულზე (ზოგადი კოეფიციენტი) მნიშვნელოვან ცვლილებას განიცდიდა. როგორც საქართველოსათვის, ისე რეგიონებისათვის მაქსიმალური


---

<sup>25</sup>დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი. შემდგენელი გ. წულაძე. UNFPA. თბილისი, 2012. გვ. 272-273.

მნიშვნელობა 1979 წელს იქნა დაფიქსირებული, ხოლო მინიმალური – 2002 წელს (იხ. ცხრილი 19).

უნდა აღინიშნოს, რომ ქორწინების მინიმალური დონე 1970-1989 წლებში დაფიქსირებული იყო რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში, ხოლო 2002 და 2014 წლებში – მცხეთა-მთიანეთში. რაც შეეხება ქორწინების მაქსიმალურ დონეს, 1970 წელს იგი თბილისში იყო, 1979 წელს – ქვემო ქართლში, 1989 წელს – აჭარაში, 2002 წელს – ისევ თბილისში და 2014 წელს – აჭარაში. მოტანილი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ქორწინების მაქსიმალური დონე რეგიონების მიხედვით ცვალებადობას განიცდიდა.

დიაგრამა 16. ქორწინება (%<sup>100</sup>) საქართველოს რეგიონების მიხედვით



წყარო: დანართი, ცხრილი 21.

## 8. განქორწინება

განქორწინება ქორწინების რეგისტრაციის გაუქმების შედეგად საქორწინო წყვილების დაშლის პროცესია.

განქორწინება რთული სოციალური პროცესია. განქორწინების დონე განისაზღვრება მრავალი გარემოებით, რომელთა შორის წამყვანი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ ქვეყნის საზოგადოებრივი განვითარების მოცემული ეტაპისათვის დამახასიათებელ სოციალურ-კულტურულ ნორმებს, ქორწინების გაბატონებულ ნორმებს, ქალის მდგომარეობას საზოგადოებაში, ოჯახის ცხოვრების წესს და სხვა. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ქვეყანაში მოქმედ ქორწინების გაუქმებასთან (განქორწინებასთან) დაკავშირებულ კანონმდებლობას.

დემოგრაფია განქორწინებას განიხილავს როგორც მოსახლეობის საქორწინო და საოჯახო სტრუქტურის ფორმირების ფაქტორს, მის ურთიერთკავშირს სხვა დემოგრაფიულ პროცესებთან და მის გავლენას მოსახლეობის აღწარმოებაზე. დემოგრაფიას აინტერესებს არა ქორწინების გაუქმების ცალკეული შემთხვევები, არამედ ასეთ შემთხვევათა ერთობლიობა საქორწინო კოჰორტებში.

განქორწინების ინტენსივობა, ჩვეულებრივ, ქალაქის მოსახლეობაში უფრო მაღალია, ვიდრე სოფლისაში; დიდ ქალაქებში უფრო მაღალია, ვიდრე მცირეში. განქორწინების დონის ზრდას ხელს უწყობს მოსახლეობის სტრუქტურაში სქესთა მკვეთრი დისპროპორცია, მეუღლეების ასაკს შორის დიდი განსხვავება, უნაყოფობა ან შეგნებული უშვილობა, მცირეშვილიანობა და სხვა.<sup>26</sup>

1970-2014 წლებში განქორწინების დონე საქართველოში მუდმივ ცვალებადობას განიცდიდა. 1970-1990 წლების პერიოდში იგი იზრდებოდა. შემდეგ წლებში, პრაქტიკულად 2006 წლამდე ის მცირდებოდა, ხოლო შემდეგ წლებში, მის ზრდას ჰქონდა ადგილი. 2014 წლისათვის 1970 წელთან შედარებით, განქორწინების სიხშირე 2-ჯერ და მეტად გაიზარდა. განქორწინების მინიმალური დონე საქართველოში 1996-2006 წლებში იყო დაფიქსირებული

---

<sup>26</sup> დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი. შემდგენელი გ. წულაძე. UNFPA. თბილისი, 2012. გვ. 43-44.

(0,4-0,5‰).


1970-1989 წლებში განქორწინების მინიმალური დონე – 0,1‰ რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში იყო. ასეთივე დონე 1989 წელს შეინიშნებოდა აგრეთვე გურიასა და სამეგრელო-ზემო სვანეთში.

აღსანიშნავია, რომ განქორწინების დონე გარკვეულ კავშირშია ქორწინებასთან – რაც უფრო დაბალია ქორწინებათა სიხშირე, მით უფრო ნაკლებია განქორწინება.

რაც შეეხება განქორწინების მაქსიმალურ დონეს, ის თბილისში იყო დაფიქსირებული.

მიჩნეულია, რომ განქორწინების დონეს განქორწინების ზოგად კოეფიციენტთან (‰) შედარებით უფრო ზუსტად გამოხატავს განქორწინების ინდექსი, რომელიც წარმოადგენს მოცემულ პერიოდში (მაგ. ერთ წელიწადში) განქორწინებათა რაოდენობის შეფარდებას იგივე პერიოდის ქორწინებათა რაოდენობასთან. შესაძლებელია განქორწინების ინდექსის პროცენტებში გამოსახვა (როგორც ჩვენს შემთხვევაში), რისთვისაც შეფარდებით მიღებული განქორწინების ინდექსი უნდა გავამრავლოთ 100-ზე. ასეთ შემთხვევაში მიღებული სიდიდე გვიჩვენებს, თუ რამდენი განქორწინება მოდის ყოველ 100 ქორწინებაზე.

დიაგრამა 17. განქორწინების ინდექსი (%) საქართველოს რეგიონების მიხედვით




წყარო: დანართი, ცხრილი 23.

განქორწინების ინდექსის მინიმალური მაჩვენებელი 1970-2002 წლებში რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში იყო, ხოლო 2014 წელს – სამცხე-ჯავახეთში. რაც შეეხება მაქსიმალურ დონეს, ის თბილისში იყო (იხ. დანართი, ცხრილი 23).

განქორწინების ჯამობრივი კოეფიციენტი<sup>27</sup> თუ ვიმსჯელებთ, მისი მინიმალური დონე 1999 და 2003-2004 წლებში (0,05) იყო დაფიქსირებული, ხოლო მაქსიმალური დონე 2014 წელს – 0,3-ის ფარგლებში. 1990-1994 წლებში განქორწინების ჯამობრივი კოეფიციენტი მუდმივ კლებას განიცდიდა, ხოლო 2005 წლის შემდეგ მისი მუდმივი ზრდა შეიმჩნევა. ამასთან, 2003-2004 წლების გარდა განქორწინების ჯამობრივი კოეფიციენტი მამაკაცებში რამდენადმე უფრო მაღალი იყო, ვიდრე ქალებში.

დიაგრამა 18. განქორწინების ჯამობრივი კოეფიციენტი საქართველოში



წყარო: G. Tsuladze. Demographic Yearbook of Georgia 2014. UNFPA. Tbilisi, 2015. p. 91-92.

<sup>27</sup>განქორწინების ჯამობრივი კოეფიციენტი წარმოადგენს ყველა ასაკის განქორწინების ასაკობრივი კოეფიციენტების ჯამს. უჩვენებს განქორწინებათა საშუალო რაოდენობას თაობის სიცოცხლის განმავლობაში, ასაკის მიხედვით განქორწინებათა სიხშირის არსებული დონის შენარჩუნებისას (იხ. დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი. შემდგენელი გ. წულაძე. UNFPA. თბილისი, გვ. 117)

## 9. მიგრაცია

მიგრაციად მიიჩნევენ ადამიანთა გადაადგილებას ამა თუ იმ ტერიტორიის საზღვრებს იქით საცხოვრებელი ადგილის, სამუშაოდ ან მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი დროის შეცვლის მიზნით. გადაადგილების ხანგრძლივობის მიხედვით გამოყოფენ მუდმივ და დაბრუნებით მიგრაციას. ეს უკანასკნელი შეიცავს დროებით მიგრაციას. მიგრაციის ცნება შეიცავს სეზონურ და ქანქარისებურ მიგრაციას, თუმცა ვიწრო გაგებით მიგრაციამისი მუდმივი ფორმაა.

გამოყოფენ გარე და შიდა მიგრაციას. გარე მიგრაცია ცნობილია აგრეთვე საერთაშორისოს სახელწოდებით თავისი სახელწოდებით და გულისხმობს სახელმწიფო საზღვრების გადაკვეთას. შიდა მიგრაცია წარმოადგენს ქვეყნის შიგნით მოსახლეობის გადაადგილებას დასახლებულ პუნქტებს შორის.

ცალკეული ადამიანისათვის მიგრაცია ერთეული შემთხვევაა, მაგრამ როგორც მასობრივი პროცესი მიგრაცია შედგება ნაკადებისაგან, რომლებიც გარკვეულ დროსა და ტერიტორიას მიეკუთვნებიან.

ცალკეული ადამიანისათვის მიგრაცია ერთეული შემთხვევაა, მაგრამ როგორც მასობრივი პროცესი მიგრაცია შედგება ნაკადებისაგან, რომლებიც გარკვეულ დროსა და ტერიტორიას მიეკუთვნებიან.

მიგრაციის ძირითადი მიზეზები სოციალურ-ეკონომიკური ხასიათისაა, თუმცა არსებითი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ და სამხედრო მიზეზებსაც, აგრეთვე ბუნებრივ პირობებს.

მიგრაცია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსახლეობის დემოგრაფიულ სტრუქტურაზე. ასევე დიდია მიგრაციის გავლენა მოსახლეობის სოციალურ და ეთნიკურ სტრუქტურაზე, მოსახლეობის განლაგებასა და განსახლებაზე.<sup>28</sup>


ქვემოთ მოტანილია დიაგრამა, რომელზეც ასახულია საქართველოს მოსახლეობის გარე მიგრაციის სალდო საქსტატისა და შეფასებითი მონაცემებით. შესაბამისი მონაცემები მოტანილია დანართში (იხ. დანართი, ცხრილი 24).

---

<sup>28</sup>დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი. შემდგენელი გ. წულაძე. UNFPA. თბილისი, 2012. გვ. 156-157.

საქმე ის არის, რომ ზოგიერთ შემთხვევაში საქსტატისა და შეფასებითი მონაცემები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

დიაგრამა 19. საქართველოს მოსახლეობის გარე მიგრაციის სალდო (ათასი) 1990-2014 წწ.



წყარო: G. Tsuladze. Demographic Yearbook of Georgia 2014. UNFPA. Tbilisi, p. 317.

მოტანილ დიაგრამაზე 1990-2002 წლების მიგრაციის სალდო საქსტატისა და შეფასებითი მონაცემებით პრაქტიკულად მსგავსია. საქმე ის არის, რომ წარმოდგენილი პერიოდის საქსტატის მონაცემები მიღებულია აღწერათაშორისი პერიოდის გადაანგარიშების შედეგად, რომელიც თავის მხრივ ეფუძნება შეფასებით მონაცემებს. მაგ., აღნიშნულ გადაანგარიშებამდე, 1995 წელს, საქსტატის მონაცემებით გარე მიგრაციის სალდო იყო უარყოფითი და შეადგენდა 20,2 ათასს. გადაანგარიშების შემდეგ მიგრაციის სალდო შეიცვალა და გახდა -127,2 ათასი, ანუ 6,3-ჯერ მეტი აღმოჩნდა. გარე მიგრაციის უარყოფითმა სალდომ, საქსტატის მონაცემებით, გადაანგარიშებამდე, 1990-2000 წლებში მთლიანობაში შეადგინა -135,2 ათასი. გადაანგარიშების შემდეგ, იმავე პერიოდისათვის სალდო უკვე -879,5 ათასი აღმოჩნდა, ანუ 6,5-ჯერ მეტი!<sup>29</sup>

<sup>29</sup> წყარო: G. Tsuladze, N. Maglaperidze, A. Vadachkoria. Demographic Yearbook of Georgia 2001. Tbilisi, 2002. pp. 156, 160.



იმავე დროისათვის (1990-2000 წწ.) შეფასებითი მონაცემებით გარე მიგრაციის სალდომ საქართველოსათვის შეადგინა -973,7 ათასი, ანუ საქსტატის მონაცემები გარე მიგრაციის შესახებ მიუახლოვდა შეფასებით მონაცემებს, თუმცა განსხვავება მათ შორის მაინც დარჩა (-94,2 ათასი).

